1976/2



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ქალი

ნოემბერი
№ 11 1976 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უმაღლესი მიზანია ხალხის კეთილდღეობა

# ლენინური კურსით

საბჭოთა ხალხმა, მსოფლიოს ყველა მშრომელმა საზეიმოდ აღნიშნეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 59-ე წლისთავი. ამ სახელოვან რევოლუციურ დღესასწაულს ჩვენი სამშობლო შეეგება ძალღონით აღსავსე, ნათელი პერსპექტივებით, რომლებიც დასახა სკკპ XXV ყრილობამ და დააკონკრეტა ახალმა ხუთწლიანმა გეგმამ. ეს გეგმა მოიწონა ამას წინათ გამართულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა და დააკანონა სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ.

უაღრესად დიდია მეათე ხუთწლედის ამ ნათელი პროგრამის მნიშვნელობა. მისი შინაარსი სავსებით შეესაბამება ხუთწლედის მთავარ ამოცანას, პარტიის კურსს ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლებისათვის. იგი ითვალისწინებს ჩვენი სახალხო მეურნეობის დინამიკურ და პროპორციულ განვითარებას, საბჭოთა ადამიანების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა უფრო სრულ დაკმაყოფილებას, პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას, კომუნისტური შეგნებულობის ჩამოყალიბებასა და მშრომელთა საზოგადოებრივი აქტივობის გაძლიერებას.

საკმარისია აღინიშნოს, რომ სამრეწველო პროდუქციის წარმოება ხუთ წელიწადში 36 პროცენტით გაიზრდება, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა — 16 პროცენტით, სახალხო მეურნეობაში დაბანდება 821 მილიარდ მანეთს გადააჭარბებს.

მეათე ხუთწლედში სახალხო მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების აბსოლუტური მატება არნახულ მასშტაბებს მიაღწევს. ფოლადის წარმოება 27,2 მილიონი ტონით გაიზრდება, ნავთობისა — 149,2 მილიონი ტონით, გაზისა — 145,7 მილიარდი კუბური მეტრით, ქვანახშირისა — 103,7 მილიონი ტონით, ელექტროენერგიისა — 341,4 მილიარდი კილოვატსაათით, 45,1 მილიარდი მანეთით გადიდდება სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება. თითქმის 40 მილიონი ტონით უნდა გაიზარდოს მარცვლეულის საშუალო-წლიური მოსავალი.

ხუთწლედში დაგეგმილია 25 პროცენტით გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება, საგრძნობლად გაუმჯობესდეს ძირითადი საწარმოო ფონდების გამოყენების მაჩვენებლები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე აღინიშნა ხუთწლიანი გეგმის ცალკეული ელემენტების ერთგვარი დაძაბულობა, რაც უკავშირდება სიძნელეებს სახალხო მეურნეობის ყველა რგოლის მოთხოვნილებათა მთლიანად უზრუნველყოფაში. როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა ამ პლენუმზე თავის ვრცელ გამოსვლაში, ჩვენი ამოცანა ის არის, რომ დავსახოთ სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულების ყველაზე ეფექტიანი ტაქტიკა.

მეათე ხუთწლიან გეგმაში განსახიერებულია ფართო სოციალური პროგრამა, რომელიც ასეთი ციფრებით გამოიხატება: მოხმარების ფონდი თითქმის 76 მილიარდი მანეთით გაიზრდება, რაც დაახლოებით 12 მილიარდი მანეთით ჭარბობს მის მატებას მეცხრე ხუთწლედში. გათვალისწინებულია 100 მილიარდი მანეთის გამოყოფა საბინაო და კომუნალური მშენებლობისათვის. 20 მილიარდი მანეთი მოხმარდება ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და კულტურის მატერიალური ბაზის განვითარებას.

ხუთწლიანი გეგმის სოციალური პროგრამით ერთ სულ მოსახლეზე საშუალო რეალური შემოსავალი 21 პროცენტით გადიდებასთან ერთად, კიდევ უფრო მნიშვნელოვან მატებას მიიღებენ ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახები.

მარტო საერთო-სახელმწიფო სოციალურ ღონისძიებებს 17,7 მილიარდი მანეთი მოხმარდება 1980 წლისათვის გაანგარიშებით. კერძოდ, განაკვეთები და სარგოები გაუდიდდება არასაწარმოო დარგებში დასაქმებულ 31 მილიონ მუშაკს. ამ ხუთწლედში დაიწყება მუშა-მოსამსახურეთა მინიმალური ხელფასის, აგრეთვე განაკვეთებისა და სარგოების მომატების ახალი ეტაპი.

მიმდინარე ხუთწლედში ბევრი რამ გაკეთდება ქალისა და ბავშვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მომუშავე ქალებისათვის შემოღებული იქნება ნაწილობრივ ანაზღაურებული შვებულება ბავშვის მოსავლელად, სანამ იგი ერთი წლის ასაკს მიაღწევდეს. დაახლოებით სამი მილიონით გაიზრდება ბავშვთა რიცხვი სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში. შრომის ვეტერანთა შორის, რომლებიც ჩვენი საზოგადოების დიდ ფენას შეადგენენ, ცოტა როდია ქალი. ხუთწლედში კვლავ ამაღლდება მინიმალურ პენსიათა დონე, დამატებითი შეღავათები მიეცემათ კოლმეურნეებს საპენსიო უზრუნველყოფისათვის.

დიდია ჩვენი შესაძლებლობანი, მძლავრია პარტიის ორგანიზატორული მუშაობის ძალა. ამის ნათელი დადასტურებაა წლევანდელი წლის განვლილი პერიოდი, როცა პარტიის უდიდეს საქმიანობას, ხალხის თავდადებულ შრომას ახალი დიდი წარმატებები მოჰყვა. ცხრა თვეში სამრეწველო პროდუქცია 4,8 პროცენტით გაიზარდა გეგმით გათვალისწინებული 4,3 პროცენტის ნაცვლად. ღირსეულად მოვიგეთ პურისათვის გაჩაღებული უძნელესი ბრძოლა.

ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობა უფრო სწრაფი ტემპით ვითარდება, ვიდრე წლიური გეგმა ითვალისწინებს. გაგვახარეს სოფლის მშრომელებმა. მათ ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადებაში მეათე ხუთწლედის უკანასკნელი წლის მიჯნას მიაღწიეს. ყველა საფუძველია იმისა, რომ ისინი წლეულსვე მიიღებენ მარცვლეულის, ხილის, ციტრუსების, შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულის, ეთერზეთოვანი და სხვა კულტურების რეკორდულ მოსავალს, გადაჭარბებით შეასრულებენ სახელმწიფოსათვის პირუტყვისა და ფრინველის, რძის, კვერცხის მისაყიდად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს, უზრუნველყოფენ პირუტყვის სულადობის გეგმიან ზრდას.

მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება არ შეიძლება, მით უმეტეს, რომ საქმე ყველგან კარგად როდია. ამიტომ, როგორც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმზე თავის გამოსვლაში, „უნდა ვისწავლოთ უფრო ეფექტიანი ბრძოლა ეფექტიანობის ამაღლებისათვის".

ჩვენმა ქვეყანამ უფრო მაღალი მიჯნები უნდა გადალახოს მეათე ხუთწლედის მეორე წელს, რომელიც კარს მოგვადგა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ ღრმა რწმენა გამოთქვეს, რომ მთელი ჩვენი პარტია, მთელი ჩვენი ხალხი ახალი შრომითი მიღწევებით აღნიშნავენ დიად იუბილეს — დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავს. ამ მიღწევებში თვალსაჩინო იქნება წვლილი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისა, რომლებსაც მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მთელი თავიანთი ცოდნა, ძალები და შემოქმედებითი ენერგია კვლავაც მოახმარონ მეათე ხუთწლედის გეგმების შესრულებას, მიაღწიონ ახალ შრომითს წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სოციალისტური ინტერნაციონალიზმი — ოქტომბრის დიდი მონაპოვარი

13058

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 59-ე წლისთავის წინადღეებში, 20-22 ოქტომბერს, ინტერნაციონალური ძმობის ნამდვილი დღესასწაული იყო ქართულ მიწა-წყალზე. თბილისში — ხალხთა მეგობრობის ტრადიციებით ამ მდიდარ ქალაქში — მთელი სამი დღის მანძილზე მიმდინარეობდა საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომლის თემა იყო: „ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება და ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალური საკითხები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა თვალსაზრისით“. კონფერენცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილებამ და საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოაწყვეს.

საიდან არ მოვიდნენ ჩვენთან სტუმრები! თბილისს ეწვივნენ საბჭოეთის ქვეყნის თითქმის ყველა ეროვნების წარმომადგენლები. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ პარტიის საოლქო კომიტეტების პირველი მდივნები, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების მდივნები, რომლებიც იდეოლოგიის საკითხებს განაგებენ, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების მდივნები, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების იდეოლოგიური განყოფილებების გამგეები, მთელი რიგი საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტების მდივნები, ხელმძღვანელი საბჭოთა მუშაკები, სამეცნიერო დაწესებულებების, სასწავლებლების წარმომადგენლები, ლიტერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტურისა და ხელოვნების მოღვაწეები, შეიარაღებული ძალების პოლიტიკური მუშაკები, ჟურნალისტები.

დიახ, საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ, როგორც ეს მისმა მონაწილეებმა თქვეს, ჩვენი ცხოვრების მეტად დიდმნიშვნელოვანი, ამასთან, მეტად ფაქიზი საკითხები განიხილა. ეს საკითხები ეხება ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოში მცხოვრები ასზე მეტი ეროვნების შრომის, ყოფისა და სულიერი ცხოვრების, მათი მსოფლმხედველობისა და მორალის ჩამოყალიბების პრობლემებს.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ ვ. ლ. სმირნოვმა.

მოხსენებით — „ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება და ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალური საკითხები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა თვალსაზრისით" — გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ა. შევარდნაძე.

კონფერენციის მონაწილეებმა მოისმინეს აგრეთვე თანამოხსენებები: უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ვ. ე. მალანჩუკისა — „სოციალური პრობლემებისადმი კლასობრივი მიდგომა, როგორც ინტერნაციონალური აღზრდის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი"; სკკპ იაკუტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის გ. ი. ჩირიაევისა — „ლენინური ეროვნული პოლიტიკის და სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის პროპაგანდა იაკუტიის ინტერნაციონალურ შრომითს კოლექტივებში", ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. ტ. კუზმინისა— „მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისადმი პარტიული ხელმძღვანელობის აქტუალური საკითხები", ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ს. ნ. იმაშევისა — „მუშათა კლასის ისტორიული როლი საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში"; სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის რექტორის მ. ტ. იოვჩუკისა — „საბჭოური სულიერი კულტურის ინტერნაციონალური ტრადიციები და იდეათა თანამედროვე ბრძოლა", სკკპ ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის მ. ზ. შაკიროვისა — „ხალხთა ლენინური მეგობრობა, როგორც საბჭოთა ცხოვრების წესის ერთ-ერთი საფუძველი", სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სექტორის გამგის მ. ი. კულიჩენკოსი — „საბჭოთა ხალხის, როგორც ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის თეორია და მეთოდოლოგია — ინტერნაციონალური აღზრდის ფაქტორები", უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ა. უ. სალიმოვისა — „საბჭოთა ცხოვრების წესის ინტერნაციონალური ნიშნები და მათი შემდგომი განვითარების გზები", ჟურნალ „კომუნისტის" მთავარი რედაქტორის მოადგილის ე. ა. ბაგრამოვისა — „სკკპ XXV ყრილობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის საერთაშორისო მნიშვნელობის შესახებ", სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული საწარმოო ძალების შემსწავლელი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ა. ა. ივანჩენკოსი — „სსრ კავშირის ეკონომიკის, როგორც ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განვითარების საკითხები", აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის რ. გ. მამედ-ზადესი — „აზერბაიჯანის მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა რევოლუციურ, საბრძოლო და შრომითს ტრადიციებზე", სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის კ. ლ. დალაქიანისა — „მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები".

კონფერენციის მუშაობის მესამე დღეს, 22 ოქტომბერს, მუშაობას შეუდგა სამი თემატური სექცია.

პირველი სექციის სხდომაზე, რომლის მუშაობასაც ხელმძღვანელობდნენ ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ა. ანდერსონი და სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სექტორის გამგე მ. ი. კულიჩენკო, განიხილეს საკითხი — „საბჭოთა ხალხის, როგორც ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის განვითარება მომწიფებულ სოციალისტურ საზოგადოებაში".

მეორე სექციას ხელმძღვანელობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. მ. სირაძე და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ „პოლიტიჩესკოე სამოობრაზოვანიე" მთავარი რედაქტორი ა. ს. ვიშნიაკოვი. ამ სექციის სხდომა მიეძღვნა მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებას.

მესამე სექციამ, რომელსაც ბელორუსიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ტ. კუზმინი და ჟურნალ „კომუნისტის" მთავარი რედაქტორის მოადგილე ე. ა. ბაგრამოვი ხელმძღვანელობდნენ, განიხილა საკითხი „პროლეტარული ინტერნაციონალიზმი და იდეების ბრძოლა თანამედროვე მსოფლიოში".

სექციათა სხდომებზე სიტყვებით გამოვიდა კონფერენციის ბევრი მონაწილე.

22 ოქტომბერს გაიმართა კონფერენციის საბოლოო პლენარული სხდომა, რომელზეც მოისმინეს სექციათა ხელმძღვანელების ანგარიშები.

კონფერენციის მუშაობის შედეგები შეაჯამა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის პირველმა მოადგილემ ვ. ლ. სმირნოვმა.



ვლ. პინჩუკის ფოტო



ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ ფართოდ, ყოველმხრივ და საფუძვლიანად განიხილა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისეროვნული პოლიტიკის ისტორიული ასპექტები. მთელმა მისმა მუშაობამ კიდევ ერთხელ და მეტად თვალნათლივ ცხადყო ეროვნულ საკითხზე მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების უდიდესი სასიცოცხლო ძალა, ჩვენი პარტიის ინტერნაციონალური პოლიტიკის გამარჯვება.

ყველა სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სსრ კავშირში ეროვნული მშენებლობის თეორიასა და პრაქტიკაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევს. ორი სისტემის იდეოლოგიური წინააღმდეგობების გამწვავების თანამედროვე პირობებში და ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის თანმიმდევრულ ბრძოლას ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებისათვის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებისა და ჩვენს პლანეტაზე პროლეტარული, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის გამარჯვებისათვის.

კონფერენციამ, რომელმაც გულდასმით გააანალიზა და შეაჯამა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა პარტორგანიზაციათა მრავალფეროვანი და უმდიდრესი გამოცდილება ინტერნაციონალური აღზრდის დარგში, შეიმუშავა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის კიდევ უფრო მტკიცედ დამკვიდრებისათვის საყურადღებო დასკვნები და რეკომენდაციები.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები და წევრობის კანდიდატები პ. გ. გილაშვილი, ა. ნ. ინაური, პ. ვ. მელნიკოვი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, შ. კ. შარტავა. ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები ვ. ვ. ვასილიევი, ი. ი. ზარეცკი, ა. გ. კოლმაკოვი, მ. ხ. ხალმუხამედოვი, ა. ვ. ცვეტკოვი.

* * *

ხალხთა მეგობრობასა და ძმობაზე საუბრები დარბაზის კედლებს სცილდებოდა. საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილენი იყვნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ თბილისის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში, სადაც ინტერესით გაეცნენ ჩვენი ქვეყნის პირველი ამგვარი მუზეუმის მრავალრიცხოვან სტენდებსა და ექსპონატებს, რუს ხალხთან, ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხებთან ქართველი ხალხის გულწრფელ მეგობრობასა და თანამშრომლობაზე რომ მოგვითხრობენ.

შემდეგ დაათვალიერეს როგორც თბილისის, ისე მის ახლომდებარე რაიონების ბევრი საწარმო, დაწესებულება და საბჭოთა მეურნეობა, სადაც გაეცნენ მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდისათვის პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკას, გვირგვინებით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი თბილისში, იყვნენ გამარჯვების პარკში, სადაც წუთიერი დუმილით პატივი სცეს ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში დაღუპულ გმირთა ხსოვნას, შეხვდნენ საქართველოს კინოხელოვნების მოღვაწეებს, დაესწრნენ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის დადგმას — „კავკასიური ცარცის წრეს“.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ინტერნაციონალური მეგობრობის დიდი საღამო.

საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი. (მარცხნიდან) კ. ივანიძე (თბილისი), ი. იუსუპოვი (ტაშკენტი), გ. ღარიბჯანიანი (ერევანი), ვ. ქოჩარლი (ბაქო), ლ. აგრბა (გუდაუთა), ა. კიჟინაევი (კრასნოიარსკი), ი. გრიჩენკო (სუმი).



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სხვადასხვა ერის შვილები



საწარმოს სასინჯი განყოფილების უფროსი ეკატერინე ლვინიაშვილი



სომეხი სვეტა აგაბაბოვა

აი როგორია მათი დიდი ოჯახი, 500-მდე წევრის ოჯახი: ცხოვრობენ ქართველები, რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, სომხები, აზერბაიჯანელები, ქურთები, ოსები... და ვერ გრძნობენ, რომ ისინი სხვადასხვა ერის შვილები არიან — მათ ენაც საერთო აქვთ, ყველა ერთმანეთს მშვენივრად ესაუბრება, თვისებები, ხასიათი საერთო გამოუმუშავდათ — მხოლოდ პასპორტში უწერიათ თავიანთი ეროვნება, თორემ საქართველოში დაიბადნენ, საქართველოში ცხოვრობენ, ამ ქვეყნის ყველა სიკეთით სარგებლობენ და გარემოსილნი არიან პატივისცემით.

ჩვენ ქართულ ჩაის მივირთმევთ! არ გეგონოთ, რომ იგი პლანტაციიდან მხოლოდ ქართველებმა მოგვაწოდეს. ჩაის უკრაინელებიც კრეფენ მახარაძის რაიონში, სომხებიც — შავიზღვისპირა რაიონში, ესტონელებიც — სოფელ ვლადიმიროვკაში (სოხუმთან ახლოს), ბერძნებიც — აჭარაში. მათი ხელებიდანაც ბევრი სიკეთე გამოჰყვა სურნელოვან ქართულ ჩაის და ასე მოვიდა იგი თბილისის ჩაის გადამწონ ფაბრიკაში. სწორედ აქ ცხოვრობს მათი ოჯახის 500-მდე წევრი — ქართველი, ოსი, უკრაინელი, სომეხი, ქურთი... ეს დახარისხებული, გემოვნებით გაფორმებული ჩაი, სუფრას რომ გვილამაზებს, მათი შემოქმედებაა. ისინი ერთი უფლებით და ერთი სიამაყით დგანან რესპუბლიკაში პირველი კომუნისტური შრომის საწარმოს საამქროებში, ერთნაირად შესტკივათ გული ხარისხზე, ერთნაირად უხარიათ ხარისხის ნიშნის მიღება, ერთნაირად ზეიმობენ ლაიპციგის გამოფენაზე „ექსტრას" აღიარებას და ოქროს მედალს.

ფაბრიკა ინტერნაციონალურია, ამიტომ მის ყველა წევრს ეკუთვნის ის დიდი გამარჯვება, რომელიც მან წლეულს მოიპოვა. ფაბრიკამ დედაქალაქში პირველმა შეასრულა 170 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქციის ანგარიშში ნაკისრი წლიური ვალდებულება, დავალების გადამეტებით გამოუშვა 2 მილიონი მანეთის ნაწარმი, 180 ტონა სხვადასხვა ხარისხის ჩაი და გადაწყვეტილი აქვს წლის ბოლომდე 200 ტონა ჩაი მიაწოდოს სამშობლოს.

მომავალი გამარჯვების გარანტიას იძლევა შრომის კულტურა, რომელიც სუფევს საამქროებში (ყვავილები, სისუფთავე, წესრიგი), ახალი მანქანა-დანადგარები, რომლებიც სულ უფრო აუმჯობესებს ნაწარმის ხარისხს, ამცირებს თვითღირებულებას.

აი საამქრო, სადაც სამ გრამად დამფასოებელი აგრეგატები დგანან! ისინი ათჯერ მაღალი წარმადობისანი არიან, ვიდრე მათი წინამორბედები. მათ სხვა მანქანებიც მიემატა, რომლებიც სრულყოფენ საწარმოო პროცესებს, ამაღლებენ ჩაის შეფუთვის ხარისხს და ტექნოლოგიას.

ეს ახალი მანქანები ყველასია, მექანიზაცია და ავტომატიზაცია ყველა მუშას თანაბრად უმსუბუქებს შრომას, ამაღლებს მათი შრომის ხარისხს, უფრო შეგნებულს და მოაზროვნეს ხდის მუშას. აქ ყველა ერთნაირად მაღლდება, ხელით მომუშავიდან გონებრივად მომუშავემდე.

ამიტომ ქურთსაც უხარია ფაბრიკის ნათელ კორპუსებში შემოსვლა, თათარსაც, რუსსაც, ისინი მომავლის ნათელ პერსპექტივებს ჭვრეტენ — თუ ამჟამად წარმოებაში შრომა 75 პროცენ-

ტით არის მექანიზებული, მეათე ხუთწლედის ბოლოსათვის მექანიზაცია 90 პროცენტამდე ამაღლდება. კიდევ უფრო შემსუბუქდება ფიზიკური შრომა, გაძლიერდება ხარისხისათვის ბრძოლა, დაიდგმება მძლავრი ვენტილაცია, კეთილმოეწყობა შემფუთავი საამქრო, რეკონსტრუქცია ჩაუტარდება ჩამწყობ განყოფილებას, მიაღწევენ წარმოების სრულ მექანიზაციას, ექნებათ ახალი კლუბი.

დღეს ჩაის გადამწონი ფაბრიკის სიმძლავრე წელიწადში 7 ათასი ტონაა. ფაბრიკის მრავალეროვანი კოლექტივი 20 ათას ტონამდე უმაღლესი ხარისხის ნაწარმს უშვებს. ქართული ჩაი მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გადის. მას სოციალისტურ ქვეყნებშიც მიირთმევენ და საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეშიც. ახლა მსოფლიომ იცის, რა ძვირფასია „საქართველოს თაიგული", „ექსტრა", უმაღლესი ხარისხის ჩაი. 200, 100, 50, 2 და 3-გრამიანი, ლამაზად შეფუთული სურნელოვანი, არომატული, სასიამოვნო ფერისა და გემოს შავი და მწვანე ჩაი თბილისიდან, ავჭალის უბნიდან იღებს გეზს შორეული ქვეყნებისა და მხარეებისაკენ.

მას თან მიჰყვება ინტერნაციონალური ოჯახის სითბო, სხვადასხვა ერებად შობილი, ერთი წარმოების მუშებად გაერთიანებული ადამიანების ღირსებები — გამტანობა, ხელისშეწყობა, ურთიერთსიყვარული, დისციპლინა, დიდი პასუხისმგებლობა და შეგნება.

ეს ყველაფერი თავისთავად არ მოსულა, სტიმულების, კარგი პირობების ბაზაზე ჩამოყალიბდა.

მეორე ცვლაში ყველა მუშა უფასოდ იკვებება, რისთვისაც წარმოება თვეში 2 000 მანეთს ხარჯავს.

მუშების 95 პროცენტი უზრუნველყოფილია საცხოვრებელი ბინით.

ყველა მუშა უფასოდ იღებს ნახევარ ლიტრ რძეს. მუშებს სანატორიუმების საგზურები უფასოდ ეძლევათ.

მუშის საშუალო თვიური ხელფასი 136 მანეთია.

არიან მუშები, რომლებიც უფრო მძიმე სამუშაოს ასრულებენ და თვეში 400-450 მანეთს იღებენ.

სასადილო, სამრეცხაო, აბანო, ბაგა-ბაღი, მაღაზია თავიანთი აქვთ.

ყველა ეს სიკეთე იმრავლებს, შეივსება, სრულყოფილი გახდება. მაშინ უფრო გაიზრდება დისციპლინა, პასუხისმგებლობა, შეგნება, ურთიერთსიყვარული.



რუსი
ალექსანდრა ერაშოვა



ესპანელი
ლიოლია ბილბაო



ქურთი
გულო აბაევა

თათარი
მარგო აპიევა



ფოტოები დ. იაკობაშვილისა

## ქართველ მეჩაიეთა დიდი გამარჯვება

# ახალი სახელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლეულს ბევრი ჩაი მოვიდა, ბევრად მეტი, ვიდრე შარშან. თუმცა ამინდი ჭირვეულობდა და დიდხანს ხელს უშლიდა მის ზრდას. თუმცა მაისში კალათებით ჩაის საკრეფად გასული ქალები ხელცარიელები ტოვებდნენ პლანტაციებს...

თუმც ჩაი იგვიანებდა...

მაგრამ მოვიდა ზღვასავით, თვალუწვდენი. მხოლოდ უნდა მდგარიყავი და გეკრიფა.

ეს კარგმა მოვლამ იცის!

კარგად დამუშავებამ, კარგმა სასუქმა!

წლეულს მომვლელებს იმედი გაუმართლდათ, მოასკდა უამრავი ყლორტი, პირდაპირ ფაბრიკებში ჩაიტვირთა ფოთოლი. ფაბრიკებმა გადაამუშავეს და გიშრისფერმა ჩაიმ ოქროსფრად, მუქსპილენძისფრად შეაფერადა მაღალი შუშის ჭიქები...

ამაზე სასიამოვნო, არომატული, ჯანმრთელობისთვის მარგი, წყურვილის მომკვლელი და კარგი ხასიათის მომცემი სხვა სასმელი არც არის რამე!..

მიირთმევ და იტყვი: დაილოცოს შენი მომყვანიო! დაილოცოს ათი ათასობით ქალი, რომლებიც დილიდან საღამომდე, გამთენიიდან შუაღამემდე დგანან და წელში გაუმართავად კრეფენ! დალოცვა ცოტაა. ყველას უნდა მოჰფინო, მთელ ქვეყანაზე უნდა გამოაჩინო მათი გმირული შრომის ამბავი...



წულუკიძელმა ანგელინა ჩომახიძემ წლეულს ორჯერ მეტი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, ვიდრე ვალდებულებით იკისრა. ელოდნენ, რომ 0,31 ჰექტარი ფართობიდან იგი 2,5 ტონა ფოთოლს ჩააბარებდა. ანგელინამ მოლოდინი გაუმტყუნა თავისიანებს და 6 ტონა ჩაი ჩაიწერა თავის ანგარიშზე. ამგვარად, მან წლევანდელი გეგმა 232,8 პროცენტით შეასრულა.

ანგელინა გოჩა-ჯიხაიშის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მოწინავეა. წლევანდელი მიღწევებით მან მშობლიურ სოფელში თანამესაქმეთა შორის მესამე ადგილი დაიკავა. მისი წარმატებები მოვალეობისადმი დიდი პასუხისმგებლობის, საქმისადმი ერთგულების, მიწის სიყვარულის, ბავშვობიდან შრომასთან შეზრდის შედეგია. იგი ოჯახის ტრადიციებს აგრძელებს. დედ-მამა კოლმეურნენი იყვნენ, ჩაიში ტრიალებდნენ, სიმინდს თოხნიდნენ, ბოსტანს მარგლავდნენ. ასეა ანგელინაც. მისი მოვლილი სიმინდის ყანა საუცხოოა. ახლა პამიდორი, კომბოსტო თუ სხვა სახის ბოსტნეული ნახეთ! მისმა მოწეულმა ბოსტნეულმა თავად მას დიდი კმაყოფილება მოჰგვარა. არც აბრეშუმის პარკი დავიწყებია ანგელინას — დავიწყებია კი არა, გეგმის გადამეტებით ჩააბარა მიმღებ პუნქტს და მეაბრეშუმეობის, ამ კეთილშობილური და ძველი დარგის აღდგენა ჩაიდო გულში, რისთვისაც სხვებიც აიყოლია. 200 ძირი თუთის პლანტაცია ჩვილი ბავშვივით აქვს მოვლილი. ენერგია დღითიდღე ემატება და არ აკლდება. ანგელინას მომავალშიც უთუოდ გამარჯვებულს ვნახავთ შრომის ფრონტზე.



წყალტუბოელმა ნანული ჯიშკარიანმა 76 პროცენტი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი მოკრიფა. იგი 30 წლისაა და სრულიად ჩამოყალიბებული შეგნებით და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულებით გამოირჩევა გუმათელ კოლმეურნე-

თა შორის. ამიტომაც ესწრებოდა საქართველოს კპ 25-ე ყრილობას. ესწრებოდა კომუნისტი და როგორც თავისი სოფლის, მშობლიური კოლმეურნეობის დიდი გულშემატკივარი, მისი წარმატებებისათვის მებრძოლი. ნანული გასულ წლებში ყოველთვის უხვ მოსავალს იღებდა. მისი ჩაი ხარისხით გამოირჩეოდა. შრომის წითელი დროშის ორდენი მუყაითობისა და შრომისმოყვარეობისათვის დაამშვენებს მკერდზე.

პასუხისმგებლობა ნანულის გულში ყოველთვის იზრდება, მატულობს. მუდამ ბეჯითად შრომობდა, მაგრამ წლეულს უფრო მეტად ისახელა თავი. ყოველდღიურად საქმეს სულ სხვაგვარად უყურებდა — მეტი ენერგიით, შემართებით, თავგანწირვით შრომობდა. და აქ იგრძნობოდა ყრილობის მოწოდების გამართლება, მეათე ხუთწლედის ამოცანათა ღრმად გაგება და გააზრება. მისი ტონები, ათასობით დაცლილი ჩაის კალათა ისე იგზავნებოდა გადასამუშავებლად, რომ პირველმომპოვებელს, ნანული ჯიშკარიანს კმაყოფილება არ უგრძვნია — სულ მეტი და უკეთესი უნდოდა გაეგზავნა თავისი სახელით. სწორედ აქ ჩანს ნამდვილი გზა წინსვლისა.



**ტყიბულელ ზინა ფორჩხიძეს** ქმარი მეშახტე ჰყავს. მძიმე ფიზიკურ შრომაში ჩაბმულ მეუღლეს კარგი ხელშეწყობა უნდა. ზინა 4 შვილის დედაა. ამგვარ პირობებში ზოგი ქალი სახლიდან გახედვას ვერ მოახერხებს. სოფელ ძიროვანის მკვიდრმა ზინა ფორჩხიძემ კი წლეულს დიდი საზოგადოებრივი საქმე გააკეთა — 200 პროცენტით შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის გეგმა.

მერე რა საუკეთესო ხარისხისაა, რა სურნელოვანია ტყიბულის ჩაი — სოფელ ძიროვანის ფერდობებზე დაკრეფილი ფოთოლი! და ახლა 4,5 ტონის ნაცვლად ნახევარ ჰექტარზე რომ 9 ტონა მაღალხარისხოვანი, არომატული ფოთოლი მოიკრიფება — ეს ხომ კარგზე კარგია! რგოლის ხელმძღვანელი ზინა ფორჩხიძე მარტო თვითონ როდია მოწინავე. მის ირგვლივ ყველანი, მასთან თანშეზრდილი მეგობრები მასავით გულშემატკივრები არიან საკოლმეურნეო საქმიანობისა. კომუნისტი ზინა ფორჩხიძე სულ სხვა ადამიანი ჩამოვიდა მოსკოვიდან, პარტიის 25-ე ყრილობიდან, და მისი 9 ტონა სურნელოვანი ჩაის ფოთოლი ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხია.

რგოლი ხელმძღვანელს უყურებდა, რგოლის წევრები მას მისდევენ და უტოლდებიან. რა უჭირს მაშინ კოლმეურნეობას, ბრიგადას, როცა ცალკეული ადამიანები ერთმანეთს კარგის მიღწევაში, წარმატებებში ეჯიბრებიან!



**გეგეჭკორელმა ლუდიკო ბართიამ**, არ დაიჯერებთ და, ჩაის მოვლა რომ დაიწყო, პლანტაციაში ელექტრონი გაიყვანა. მის შუქზე თოხნიდა და ანოყივრებდა მიწას, მის შუქზე კრეფდა ახალამოყრილ დუყებს შუაღამემდე, ზოგჯერ ელექტრონის შუქს დილა აფერმკრთალებდა, ლუდიკო კი დახრილი იდგა ბუჩქთან და ახალ შრომითს დღეს ეგებებოდა დაუძინებლად, დაუხემსებლად.

ასე ღვივის ლუდიკო ბართიას გულში შრომის სიყვარული. მან ისე მოუარა წლეულს დაგვიანებით შემოსულ ჩაის, რომ შეძლო გვიან დაწყებული კრეფა მნიშვნელოვანი გადამეტებით დაემთავრებინა.

ლუდიკომ ვალდებულებით გათვალისწინებული 15 ტონის ნაცვლად 21 ტონა პირველი ხარისხის ფოთოლი ჩააბარა ქვეყანას, სოფელ გაჭედილში ასეთ მშრომელ ადამიანებს აფასებენ. კოლმეურნეობა „ავანგარდში" წითელი დროშის ორდენი, „საპატიო ნიშნის" ორდენი, მედლები მხოლოდ ღირსეულთა ხვედრია. ლუდიკო ბართია ერთგულად თავდადებული შრომით გახდა ღირსი ყველა ამ ჯილდოსი.

იგი მოწაფე იყო, როცა ჩაის კრეფდა. საშუალო სკოლა დაამთავრა და პროფესიონალი მკრეფავი გახდა. დღეში 150-200 კილოგრამი ჩაი — ასეთია მისი დღიური ნამუშევარი.



**მახარაძელი გარპინა შაგლიცკაია** უკრაინის შვილია. სოციალისტური შრომის გმირობა მან საქართველოში მიიღო, სწორედ ქართული მიწის სიყვარულისათვის, მისი ძლიერებისათვის, მისი სიუხვისათვის.

ბავშვი იყო გარპინა, მახარაძის რაიონის სოფელ ნასაკირალში რომ ჩამოვიდა მშობლებთან ერთად. აქ ნახა პირველად ჩაის ბუჩქი, ციტრუსები, ვენახი, ტუნგო, აქ გადაწყვიტა ამ კულტურების მესაიდუმლე, მათი მცოდნე და მომყვანი გამხდარიყო. გადაწყვეტილება საქმედ აქცია. გარპინა ყოველწლიურად 9-10 ტონა ჩაის ფოთოლს კრეფს. ეს დიდი მოსავალია უკრაინელი ქალისათვის, მაგრამ მან საქართველოს სუბტროპიკული კულტურების მოვლისა და მოყვანის გარდა, ქართველთა ზნე-ჩვეულება, ქართული ენა შეითვისა, მისი შვილი ქართულ სკოლაში დადის.

წინა წლებში მიღწეული წარმატებებისათვის მოწინავე მეჩაიე ოქტომბრის რევოლუციის ორდენით დააჯილდოვეს.

ახალ ხუთწლედში გარპინამ ახალი ვალდებულება იკისრა. მისი მიზანია გეგმური 28 ტონის ნაცვლად 38 ტონა ჩაის ფოთოლი მოკრიფოს. გარპინას ციტრუსების ბაღშიც ნახავთ, ვენახშიც. ყველაფერი, რასაც მისი ხელი ეხება, საუცხოო მოვლილია.

სოციალისტური შრომის გმირი ღვიძლი შვილივით ზრუნავს რესპუბლიკის, რაიონის, სოფლის კეთილდღეობისათვის.

კ. ლიაძე

გოდერძი ბერიაშვილი

# „საქსი"

მოთხრობა მხატვარი ლერი ღვინჯილია

დილიდანვე იქოთქოთა ეზოში ბაბალემ. უთენია დააფეთა ქათმები. დასაკლავად კვერცხმოლეულები შეარჩია. ორი ჩამკვრივებული დედალი ფეხებით გამოათრია საქათმიდან. ძველი კაბის ჩანახევით გადაება ერთმანეთზე და საქათმის კარებთან დაყარა. გომურიდან უშობელი გამოიყვანა, სამურველით ჩამოუწმინდა ნეხვშემხმარი ბეწვი, სათივის ქვეშ შეაგდო და სიმინდის ტაროგაცლილი ღეროები მიუყარა.

ცოტა რომ ამოიქაქანა, დღის სიგრძეს გაჰხედა. გიორგობის დღე მოკლე ეჩვენა, თვალით ეპატარავა. ათასი საზრუნავი ჰქონდა. ბევრი რამ იყო მისალაგებელი, მისაბინავებელი. მატარებლის ჩამოვლამდე ყველაფერი უნდა მოესწრო. როდესაც მეზობელი წყლის ასაღებად კარში გამოსული დაინახა, ქათმები იღლიაში ამოიჩარა და ჰიშკარი შეაღო.

— შენი ჭირიმე, კატო, ეს ორი სადედე ქათამი დიდმარხვამდე შემინახე. თუ მოიქცეს და კვერცხი მოგიმრავლოს, ერთი აუდობისა თბილად დამახვედრე. გაზაფხულზე მზე რომ იფეთქებს და წყალში ყინული ჩავარდება, ქათამი მოკრუხდება და წიწილებს გამოშლის ეზოში.

— მაშ, გადაწყვიტე?

— ფეხს ვითრევდი, სახლის უპატრონოდ დატოვება არ მინდოდა, მაგრამ ჩემი შაქროს წერილმა გული მომითუთქა. წავალ, ამ ზამთრის დიდთოვლობას იქ გადავაგორებ. შვილსა და რძალს ჩემს თვალქვეშ გავატარებ და, ბებო ენაცვალოს, ჩემს ბაიას ლოგინში ჩავიხუტებ. რა ვქნა კატო, მარტოობამ გამატყიურა და პირზე ობი ამომიყვანა.

— ეზოს გარეთ არ იხედები, მთელი ზამთარი შენს კერას არა სცილდები, თორემ მარტო რად უნდა იყო.

— ჩემი სახლის მბჟუტავ სანთელს მე უნდა ვუყურო. ღუმელი თუ გავანელე და შუქი ჩავაქრე, გამოყრუვდება სახლი და ეზო-კარი ნაოჯახარს დაემსგავსება. ღამურა და ჭრიჭინობელა დაიბუდებს კედლებში. ერთი სათხოვარი მაქვს და ხელი გამიმართეთ: დღევანდელი დღე ქარს გაატანეთ. გადმოდით, ხელი დამახმარეთ. საკლავი გამიფეშხვავეთ და თონეში პური ჩამაკვრევინეთ.

* * *

ომის შემდეგ მოვიდნენ ამ სოფელში კატო და მიხაკო. ზურგზე აეკრათ გუდა-ნაბადი და საოჯახოდ ეს სოფელი აირჩიეს.

კატოს ქმარი ომში დაკარგულა. მიხაკოს ფერხორცა კატოსათვის კბილი დაუდგამს და გვერდით ამოსაწოლად მიუჩვევია. სოფელს რომ გაუგია, საქვეყნოდ შეურცხვენიათ ქმრისა და შვილების მოღალატე დედა. მიხაკოს ქალისთვის ნამუსი მოუწმენდია. ცოლშვილისათვის ზურგი შეუქცევია, კატოსათვის ხელი უტაცია და ჩალაუბნიდან გამოქცეულან.

ბაბალე ტუჩს იბზუებდა. გულში ათას წყევლა-ქოქოლას აყრიდა კატოს. ქალისჭალარისა და კაცის ბერმუხობის დროს ცდუნება რა ხორცის გაავებააო.

ბაბალემ რომ თავის ეზოში ფეხი იბრუნა, ცალი თვალი კატოსაკენ გაურბოდა. როგორც კი კატო კარის ყუას მიეფარა, დეკეულს სტაცა ხელი და თრევით ჩაიყვანა ეზოს ბოლოში.

სანდალა წყაროსთან მდგარ მანქანას რეცხავდა. რეზინის გრძელი მილი ეჭირა და წყლის ნაკადს ქუფრად ასხამდა მინამეტალს. შემდეგ რეზინს ძირს დააგდებდა და სველ მინებს თექის მჩვრით აპრიალებდა.

— შენი ჭირიმე, სანდალავ, ეს უშობელი დიდმარხვამდე შემინახე. თუ თივა და ჩალა შემოგაკლდეს, ჩემს სათივეს მოჰხადე თავი. შენსასაც ეყოფა და ჩემსასაც. გაზაფხულზე აპრილის ბალახი ამობიბინდება და საქონელი ნედლი ბალახით იამებს. ამ დეკეულმა ნაადრევად აიდევნა ბუღა, მაგრამ დიდმარხვას გაიყვანს მგონი. თუ რამე შეატყო, აუცილებლად მიდეპეშე და მეც აქ გავჩნდები.

— მაშ, მიდიხარ, ბაბალე ძალო?

— მივდივარ, შვილო, მივდივარ. რა ვქნა ბიჭს სოფლის გზა დაუშორდა. აქ ჩამოსვლას ველარ ახერხებს. ეგების ორი პირასკევი აღარ მიწევს წინა. წავალ. ჩემი გულის ჭიას შვილთან დავაპურებ.

სანდალამ დეკეული გომურში შეიყვანა. თითქოს ენანებაო, ისე გაადევნა დეკეულს თვალი ბაბალემ.

— სადგურამდე მე გაგაცილებ. თუ რაიმე გაქვს წასაღები, მანქანით მოვალ და ყველაფერი მზადა გქონდეს. შენს ბიჭს მცირე რამ ჩემგან მიართვი. თავისი პირობაც გაახსენე. აქ რომ ჩამოხვალ და სუფრაზე ატლას-აბრეშუმის ქარვასლებს ამიგებ-თქო, მანდ რად გავიწყდება-თქო. ი, არაბული ავეჯის შოვნას რომ შემპირდა, ცოლი დღე და ღამე მუგუზალს მიკეთებს-თქო, თუ ღმერთი გწამს, მიშოვე და ფასს აღარ დავეძებ-თქო.

— შენ დანაბარებს სიტყვა-სიტყვით გადავცემ.

ოთხფეხზე მოკეცილ ბროლიასთან ჩაიმუხლა. ძაღლმა ყველის სუნი იყნოსა და ბაბალეს ხელებში მიეტანა. ქალმა ყველს ყუა მოატეხა და ძაღლს ხელით შეაჭამა. წელზე ხელი გადაუსვა და დრუნჩი თავშალზე მიიდო. — რა გეშველება უჩემოდ, შე საცოდავოო, ჩემეულად ვინ მოგივლის, გაზაფხულამდე ვინ გაჭმევს, ვინ დაგალევინებსო.

ეზოს იქით ტატალას ფშრუკუნი მოისმა. დედინაცვალს ეჯიჯღინებოდა. ბაბალემ ტატალას ხმის გაგონებაზე კარი გამოიჯახუნა და ღობესთან მიდგა. ტატალა რომ ჩაჩუმდა, დრო იხელთა და შეეხმიანა:

— ტატალავ, გადმოდი, შე ქალქვავ, რად ამოიკვეთე ფეხი და ჩემს ეზოში რატომ აღარ შემოდიხარ?

ჩაჭყლეტილ ღობეს მკერდსავსე ქალმა გადმოაბიჯა. ზამთრის პირი იყო და ბოსტნებში თრთვილის მაგიერ თოვლის განაცერი ეყარა, ქალს მაინც ფლოსტებში ჩაედგა აწიწილავებული შიშველი ფეხები, კაბის წინა კალთა მუხლამდე ჰქონდა დაქანებული, ღილებდაგლეჯილ საკინძესთან სანახევროდ გაშიშვლებოდა სადედური.

— ბაბალე ბებო, მართლა მიდიხარ, ე? ნეტაი, იქ რა გაგაძლებინებს!

— აბა, ტატალავ, ბროლიას შენ გაბარებ კუტებს მოგიმარაგებ და ძაღლისათვის ლუკმის მიწოდებას ნუ დაიშურებ. მშიერმწყურვალს არ ამოჰხადო სული. ხომ იცი, ქალაქიდან ხელცარიელი არ ჩამოვალ.

ფქვილი ხელით შეატივტივა. საფუარი ხაში თბილ წყალში გახსნა და, ცოტა ხნის შემდეგ, უკვე გამალებით ურტყამდა მუშტებს ცომის ზურგს. ცომი იგრიხებოდა, ხტოდა და ვარცლის კედლის პირამდე ამოდიოდა.

—უცხო პირი შეჭამს, ცომი იფანტება.— ჩაილაპარაკა ბაბალემ.

— ნეტაი, ქალაქელებს რად უნდათ სოფლის პური? პურიც იქა აქვთ და ნამცხვარნაზუქიცა. — უპასუხა ქალაქურ ნამცხვრებს დახარბებულმა ტატალამ.

ბაბალემ ცომს პირჯვარი დასწერა, და თბილად დააფარა.

ნაშუადღევს უკვე დიდი ფუსფუსი იყო ბაბალეს ეზოში. მიხაკო მარანში ტრიალებდა. პატარა თოხი დაეჭირა და ქვევრს თავს უსუფთავებდა. კრამიტით დახურულ ჩარდახის ქვეშ ტატალა თონეს ახურებდა. კატო ბუხართან ჩამუხლულიყო და ქათმებს ბდღვნიდა.

მეზობელი ქალები წინდის ქსოვით მოადგნენ თონეს. გაცრიატებული დღე იყო და თონის სითბო ეამათ. ბაბალემ ლაფათა გამოიტანა და თონის ირგვლივ კედელზე ლავაშები შემოარიგა. ცომი დაიბურთა და მალე სახეალეწილი ლავაშები ამოყარა. წიწაკის მწნილი და ყველი გამოიტანა. მიხაკოს ერთი ხელადა ღვინო ამოალებინა: კაცებსა, თორემ, ქალებს ცარიელი ნაღვინევი ხელადის სუნიც დაგვათრობსო. ლავაშებს წვერი წაატეხა და ქალებს მიაწოდა. მიხაკო თონესთან მიძუნძულდა, ქალებს ჭიქა აალალა და თამადობა დაიწყო.

— ეს შაქროს გაუმარჯოს, თავის ფესვითა და ფესვნაყარითა, თავისი ყვავილითა და თავისი ნაყოფითა! შენ გაგიმარჯოს, ბაბალე, შენ რომ დედა ხარ, ტყუილია! შენმა შვილმა მართლა რომ შეგიწვას ხელის გულზე კვერცხი და შეგაჭამოს, მაინც ვერ გადაიხდის შენს ამაგსა.

— იცოცხლე, მიხაკო, იცოცხლე.

— შაქროს გაუმარჯოს, შაქროსა. — იძახოდა კატო და რქაწითელს ხელადიდან წრუპავდა.

— რა უღმერთობაა, ამხელა სახლ-კარის პატრონმა ერთი საფიცარი, ერთი შვილი უნდა იყოლიოს?

— შენი რძალი რაღაცას ეშმაკობს, ბაბალე.

— ჩავიდე, გოგოებო, ბიაბროდ უნდა გავხადო. გული მიკვდება ქალებო, ჩემს შვილს ქალის მაგიერ ნაცრით სავსე ტომარა ხომ არ უდევს გვერდით, ქაა!

თონის განელებამდე კისკისებდნენ ქალები. მიხაკო ადრე გაისტუმრეს, თონეზე ფეხი ვერ აგვიწევიაო, — მოიმიზეზეს. ხელადა გამოცალეს და შეღაჟღაჟებულებმა იბრუნეს უკან ფეხი.

ნათონარმა ბაბალემ მარანში ჩაიმუხლა. ახლა იგრძნო, უკვე დაღლილიყო. მარანში ცხელი პურის სუნი იდგა. პირდაღებული ქვევრისთვის საცერი დაეფარებინა მიხაკოს. კართან ხუთვედროიანი ტიკი იწვა. რომ შეისვენა, ყველაფერი თვალქვეშ გაატარა. ახლა სახლში ავიდა.

... თვალი კედელზე დაკიდებულ სურათისაკენ გაექცა. მოხეტიალე მხატვრის მიერ დახატულ სურათში ქმრის მხოლოდ იერსახეს ხედავდა ბაბალე.

— უნდა მიგატოვო და ნუ მიწყენ გიორგი, აგრემც სული აგიყვავდება. აგრემც მიწა გებუმბულება. მივდივარ, შვილთან მივდივარ. უნდა გაგეყარო ადამიანო... რა ვქნა, კაცო, ბიჭი წუხს, ბიჭი მებრძვის... აჰა, ისე დავაბინავე, — შენი მონაგარი არ ახსოვს. ისე წამოვჩიტე, შენი დატუქსვა არ გაუგონია და არც შენი ალერსი ახსოვს. შვიდი წლის შემატოვე. შვიდი წლის წაიყვანე სკოლაში და წახვედი. ამ ზაფხულს მაინც ჩამოვიტყუებ შვილსა და რძალსა, ამ ზაფხულს მაინც გაგაძღობ მათი ყურებით. უნდა წავიდე გიორგი, იქნებ ბიჭს რა უჭირს, იქნებ რაიმე აქვს გასამხელი. ჩავალ და გულჭირს გადავიყრი. მე შენ გეტყვი და შვილის ოჯახს დავიწუნებ. მეფურად ცხოვრობს შენი შაქრო. გიორგი, მეფურად.

მთვარეულივით ბუტბუტებდა ბაბალე.

მანქანაში კატო, მიხაკო და ორი მეზობლის ქალი ჰადრაკულად ისხდნენ. ბაბალე წინ დასვეს და ტატალა კალთაში ჩაუსვეს.

იცინოდა სანდალა. ერთი მილიციის ინსპექტორი და.. ვეღარაფერი მიშველისო.

მატარებელში მყავე სუნი იდგა. თუთუნის კვამლით დამძიმებული. ერთმანეთში არეულიყო ყველის, პურის, ნივრისწნილისა, კომშისა და ყვავილების სუნი.

ბაბალეს პირდაპირ ქერა ქალი იჯდა. ქალიშვილობის წლებს გადაბიჯებულ ქალს შემღვრეული ალუჩისფერი შალის კაბა ეცვა. მკერდის ნიშან-კვალიც არ ეტყობოდა.

— ნეტავი, მატარებელი თვალსინათლივ ჩავა ქალაქში? — იკითხა ბაბალემ.

— ცხრის ოც წუთზე ნავთლუღში ვიქნებით. — ჩაილაპარაკა ქალმა.

ამჯერად დიალოგი არ გაგრძელდა. ვერ ჩაითრია საუბარში სიტყვაძუნწი ქალი.

არ ესიამოვნა ბაბალეს ყურს ვაგონის ბზუილ-ყაყანი. ამ ბოლო დროს ერიდებოდა ხალხმრავლობას. დრო და ხანმა თავისი გაიტანა და სამოცდაათ წელს მიღწეულმა ქალმა პირი იბრუნა თავსაყარისაგან. ვეღარც ქორწილ-ნიშნობის ორომტრიალს იტანდა და ვეღარც მიცვალებულის დატირებას... ყურს არ ესიამოვნა, თორემ თვალით ეამა: ვაგონი სავსე იყო სუფთად გამოწყობილი, ნაპატივები ახალგაზრდებით. ულვაშამოყრილი ბიჭებითა და თვალწარბწამწამ მოხატული გოგონებით. აღარ ჩანდა ომის დროს ნახმარი ფარაჯები. აღარ დაიარებოდნენ ვაგონებში ნაომარი ხეიბრები.

ბაბალეს არ უყვარდა ქალაქი და მატარებელი. ომის ელდიან დღეებს აგონებდა. გიორგი შინმოუსვლელში რომ გაისტუმრა, ქალი მარტო შეება ოჯახისა და საშოვარის უღელში. პირველ ორ წელს აღონღიალა გიორგის დანატოვარი ცხენი და ძროხა. ორ წელს ათბობდა ქმრისეული ცხენით ტყიდან ჩამოთრეული შეშა. ორ წელს სვამდა პატარა შაქრო სახლში გაზრდილი დეკეულის რძეს. ლუკმა რომ გაუჭირდათ და, სხვა გზა ვეღარა გამონახა, ბაბალემ სამ ფუთ ხორბალში გაუცვალა ცხენი კარდენახელ მეურმეს. მერე კი, როცა ქალაქის გზას გამოეკერა და სახლში დაღამება დაუძვირდა, ძროხა უჭმელ-უპატრონობით გაილასტა. მაშინ კი შეეცოდა პირუტყვი და ბოდბისხევის ბაზარში პალტოზე გადაცვალა.

ომის გახელების პერიოდში ლუკმის შოვნის შიშმა აიტანა ქალი. ბევრი იფიქრა და ასეთ ხერხს მიმართა: თავნი ორასი თუმანი კაპიკ-კაპიკ მოაგროვა, ჩავიდა წნორში და ორი ფუთი ხორბალი უყიდა. ჩამოიტანა, დაფქვა, და შვიდი თონე ხელისგულის ტოლი შოთები გამოაცხო. სამი ხურჯინი საგულდაგულოდ ჩ[illegible]რით აავსო და ქალაქის ბაზარში [illegible] ასე იმეორებდა კვირაში ორ დღეს. ქალი მატარებელში ათენებ-აღამებდა. სარგებელი მხოლოდ ის იყო, რომ სახლში პატარა შაქროსა და მის ხმის გამცემ უსინათლო დედამთილს ლასტზე გამოულეველად ედოთ პური.

მეხუთე კურსზე იყო შაქრო, როდესაც სოფლიდან ჩამოსულ ქალს კარი ნანამ გაუღო. ნანას საუთოვებელი გაეწყო და შაქროს პერანგებს აუთოვებდა. ბაბალე გაშტერებული დარჩა. ბიჭს ერთი გადაკრული სიტყვაც არ დაცდენია და უცებ მისი შვილის გულის მოწილადეს შეეფეთა.

პირველად ეუცნაურებოდა ბაბალეს, როცა მისი შვილის პატრონობას სხვა ჩემულობდა, მაგრამ ხვედრს უსიტყვოდ შეეგუა. რძალს შუბლზე აკოცა და ხელზე გიორგის მოტანილი ბეჭედი გაუკეთა.

შაქრომ და ნანამ თბილისში დაიდეს ბინა. შაქრო განაწილებით საპროექტო ინსტიტუტში მოხვდა. ახალი საფიქრალი გაუჩნდა ბაბალეს. მამაპაპური სახლ-კარი გამოყრუებული რჩებოდა. შვილი, რძალი და პატარა ბაია ნაქირავებ ბინაში იყვნენ შეხიზნულები.

სოფლად ზღვა მოსავალი რომ მოვიდა და ბაბალემ სამიათასი მანეთი ყურძნის ფული ჩაითვალა, ათ მანეთიანს მანეთიც არ მოჰპარა. კაპიკ-კაპიკ ჩამოუტანა შაქროს და ჯიბეში ჩაუდო. კოოპერატიულ მშენებლობაში შედი და ჭერი აიმაღლეო. დატრიალდა ნანა, ამოძრავდა შაქრო და სამი წლის თავზე ოჯახმა ახალმოსახლეობა ვაკეში, ფალიაშვილის ქუჩაზე, ოთხოთახიან ბინაში იზეიმა. იმავე წელს ბაბალემ სამი მოზვერის სიმაღლე ღორი გაასუქა. დაკლა და ისე გაჰყიდა, რომ ჩიჩქნა არ გაუსინჯია გემოთი. ღორების ფულს ერთი წლის მოგროვილი პენსია მიუმატა და ნანამ არაბული ავეჯი შეიძინა. ასე იყო ყოველ წელს, ყოველ თვე. ბაბალე კაპიკს კაპიკზე აწებებდა და ნანაც დარბოდა საკომისიოებსა და გადამყიდველებთან.

ბიჭს ერიდებოდა, დედას უკანასკნელ კაპიკს რომ გამოაცლიდა ხოლმე, მაგრამ თითონ ბაბალე დაამშვიდებდა — მე ფული რად მინდა, ჩემი საკმარისი ქვაცა მაქვს და კაკალიცო. ამან უფრო გაათამამა ნანა. თუ რაიმე მოეწონებოდა, მაშინვე შეუთვლიდა: ჩინური ფაიფურის ჭაღი მომეწონა, მაგრამ ხომ იცი, შაქროს ხელფასი და, სადილი და საუზმე საძებარი გვაქვსო. ბაბალე ბაზარზე დაეყუდებოდა. მოაგროვებდა ხახვსა და ნიორს, ქათამსა და იხვს, კვერცხსა თუ გოგრებს და, ორშაბათს ნანასთან ჩამოენთებოდა. ისე რომ, პატარა ბაია თორმეტი წლის რომ შესრულდა, შაქროს სახლი მუზეუმს დაემსგავსა.

ზაფხულის დღეებს მარტო ატარებდა შაქრო ქალაქში. ნახევრად მშიერი დადი-

ოდა, სასაუზმე-სასადილოების საჭმელს ვერ ეგუებოდა. საღამოს როგორ მოეკლა დრო არ იცოდა. სოფელში თუ ჩაიხედავდა, საღამოს გულხეთქებით მოსდევდა ავტობუსს. სახლს გამოკეტილს ვერა სტოვებდა. ეშინოდა მუზეუმად ქცეული ბინა არ გაეძარცვათ.

საღამოხანს ან ლოჯიაში იჯდა, ან ტელევიზორს უყურებდა. ხშირად სამი მატჩისთვის უყურებია შეუსვენებლივ. თავს რომ დაიმარტოხელებდა, სოფელზე ფიქრი წამოეხატებოდა. მოენატრებოდა იქაური წუხილ-სიხარული. საგრძნობს მამისეული სახლის სურნელი მოედებოდა. ახსენდებოდა კახეთში გატარებული სექტემბრის ბარაქიანი ღამეები. ახსენდებოდა დაირისტოლი მზე და რიყის ქვაზე დაგდებული სახეალეწილი მთვარე. ენატრებოდა ბავშვობის აღქმით წარმოდგენილი სოფლის უცერემონიო ქორწილის სიხარული. მოუნდებოდა მათი დალანდვა და მთელი ცხოვრების სილამაზეს ამ გამოუცნობ სიყვარულში ხედავდა.

ქალაქი არ უყვარდა შაქროს, არა... ქალაქში დიდი სიამე, დიდი ხიფათი და დიდი ცდუნება ერთმანეთს არის გადასკვნილიო. ოცნებობდა, ბაიას გზაზე დავაყენებ, დავაბინავებ, საპენსიო ასაკიც მომიწევს და მაშინ მაინც მივუბრუნდები მამისეულ სახლსაო.

* * *

მატარებელი სადგურს რომ მიუახლოვდა, ბაბალე და ქერა ქალი დიდი ხნის ნაცნობებივით მუსაიფობდნენ. გაიხარა ბაბალემ, როცა გაიგო, რომ ქალი შაქროს ამხანაგი ყოფილა. ერთად ვისვენებდითო. ქალმა მოკლედ უამბო თავგადასავალი. არ გავთხოვილვარ და „ალაზანშენში" ვმუშაობ მოანგარიშეთო. ჩემი შვილის ტოლი ჭირვარამი ჰქონია გამოვლილიო, გაიფიქრა ბაბალემ, ქალს ადვილად გაუშინაურდა, თავისი წუხილ-სიხარულიც გადაუშალა.

— მოდი, აუცილებლად მოდი ჩვენთან. შაქროს ძალიან გაუხარდება. მოდი, შენს გახარებას და ერთად შემოვიაროთ ქალაქი. ამ სიბერის დროს თავი უნდა მოვიგიჟიანო და თეატრშიც უნდა წავიდე. მოდი, გენაცვალოს ბაბალე და ერთად წავიდეთ.

ქალმა ბაბალე ტაქსის კარამდე მიაცილა და დაემშვიდობა.

კარის ზარი დაწკარუნდა. ბაიამ სათვალთვალოში გაიხედა და იყვირა:

— ბებო! ბებო ჩამოვიდა!

მუხის კარი უხმაუროდ გაიღო. ბაია ბებიას ჩაეხუტა. სამზარეულოდან ნანა გამოვიდა, ცომიანი ხელები მაღლა ასწია და დედამთილს აკოცა. შაქრო ბაიას ყვირილზე ოთახიდან გამოვარდა და დედას მიეგება. ბაბალემ შვილს ყვრიმალი დაუკოცნა.

— ტაქსს მიჰხედე, შვილო! — შეაგება ბაბალემ.

— რა არის დედა, რატომ არ გაგვაგებინე, შაქრო სადგურში მაინც დაგხვდებოდა. — უსაყვედურა ნანამ.

სანამ შაქრო და ტაქსის მძღოლი ტვირთს ეზიდებოდნენ, ბაბალე ბაიას უტრიალებდა, განზე გადგებოდა და თვალით ზომავდა.

— შენი ჭირიმე, მოგიკვდეს ბებო, შვილო, როგორ გამხდარხარ. თეთრი ვარდის ფერი დაგდებია. ერთი ჩაგიყვანო სოფელში, ლოყები უნდა დაგიწვა გომბორის მზითა.

ნანა იღიმებოდა და „ნაპოლეონის" ცომს ოთხად კეცავდა. არ იმჩნევდა, მაგრამ ცალი თვალი კალათებისა და ჩანთებისაკენ გაურბოდა.

— რა არის დედა, ეს ცოცხალი ინდაურები რაღამ ჩამოგაყვანია, ვინ არის მაგათი მომვლელი?

— აბა, ქა ამხელა ქალმა რა უნდა ვაკეთო. აქ ხვევა-ფურჩნის სკოლას ხომ არ გავხსნი? სარდაფში დავამწყვდევ და ახალწლამდე დავასუქებ.

როცა ბაბალემ კალათებისა და ხელჩანთების ამოლაგება დაიწყო, რძალს თვალი არ მოუცილებია. ყველაფერს საკუთარი თვალით ზომავდა. აბა, რასაც ველოდი იმდენია თუ არაო. კაკალი ეცოტავა. იმხელა ხიდან ნუთუ მეტი არ ჩამოვიდაო.

ბაია ბებოს მისაღებ ოთახში შეუძღვა. თუმცა ოთახში ეგვიპტიდან ჩამოტანილი უშველებელი ბროლის ჭაღი ბდღვრიალებდა, მაინც სიჩუმე და სიცივე იდგა. ორი კედლის მიყოლება, რამდენიმე ინგლისური კარადა იდგა, ბროლისა და ფაიფურის ლარნაკებით. თეთრ როიალზე, ჩინურ ვაზაში ჩალაგებული ალისფერი ტიტები წითელ სხივებს აფრქვევდა. როიალთან სკამზე ნოტები ეყარა. შუა ადგილას დადგმული ინდური ბუდა ყურებამდე გაღებული პირით იჯღანებოდა. კედლებიდან იყურებოდნენ ნახევრად შიშველი ქალები და ვენეციელი ვაჭრები.

ბაია სათითაოდ აღებდა კარადის კარებებს და ექსკურსიამძღოლივით უხსნიდა ბებიას ახლადშეძენილი ნივთების სადაურობას, ხარისხსა და ფასს.

— ეს ბავარიულია, ეს ჩინური, ეს „საქსის" თეფშებია, მოსკოველი გადამყიდველისაგან იყიდა დედაჩემმა. ასეთი თეფშები სულ რამდენიმე ოჯახს ჰქონია მთელ ქალაქში.

ბაბალე გაოცებული შეჰყურებდა ძვირფას მოვერცხლილ სურებს, ოქროში ჩასმულ სირჩებს, ვენეციური მინის სასმისებს, ჩინური ყავის სერვიზებს, ინგლისურ სადილის ჭურჭელს.

მისაღები ოთახიდან შაქროს სამუშაო ოთახში გავიდნენ. საკომისიო მაღაზიაში შეძენილ უშველებელ მაგიდაზე, შუქფარის ქვეშ სიგარეტები და კარადის გასაღებები ეყარა. მთელი კედლის სიმაღლეზე აღმართულ წიგნის თაროებში საგულდაგულოდ ელაგა მსოფლიოს კლასიკოსთა ტომები. სავარძელში „იუმორისტული მოთხრობები" იდო: ამ გამოცემას ხარბად კითხულობდა ცოლ-ქმარი.

ნანას საწოლ ოთახში, ბაბალემ ბაია გარეთ გაუშვა და ცოლ-ქმარი დაიმარტოხელა. მკერდზე შემოკრული ხილაბანდი შემოიხსნა. ბლანდი გაარღვია და რძალს დაკეცილი ათი ასმანეთიანი ჩაუდო ხელში.

— აი, შვილო, წლევანდელი ყურძნის მოსავლის ფული ჩამოგიტანეთ. გვალვამ შეგვაწუხა. ვენახმა და მოსავალმა მაინცდამაინც ვერ გამახარა.

ნანამ ფული ხელში აათამაშა და გაიოცა.

— ვაიმეე, ეს რას მიზამს. მე ცოტა მეტს ველოდი. ხომ იცი, დედა, ქალის პატრონი ვარ და ახლავე მინდა დავიჭირო თადარიგი. ბაიასათვის ბრილიანტის საყურეები მაქვს შეგულებული.

— სამი თვის პენსიაც ჯიბეში მიდევს, ისიც დაუმატე და იქნებ იოლას წახვიდე. ერთი, ასი მანეთი გადავინახე ვენახის მისახედად, ნამყენი მინდა ვიყიდო და ცარიელი ადგილი შევავსო. გაზაფხული ჩამოდგება, შრომა გახშირდება და ვენახი თავნს მომთხოვს, შვილო.

იმ ღამეს ადრე დაწვა ბაბალე. დასვენება ენატრებოდა. თბილი ლოგინი ეამა, მაგრამ თვალი ვერ მოატყუა, ძილი არ გაეკარა.

გათენებისას ჩათვლიმა, მაგრამ მალე ზარის მჭახე ხმამ დააფეთა.

— ბებო, ნაგავი ჩაიტანე! — მოესმა ბაიას ხმა.

კაბა საჩქაროდ გადაიცვა. ფეხი ფოსტლებში ჩაჰყო და ნაგვის ვედროს დასტაცა ხელი. დიდხანს ეჯაჯგურა სამი გასაღებით დაკეტილ კარს და, სანამ შაქრო არ წამოდგა და არ მიეხმარა, ვერაფერი მოუხერხა.

კარგა მოდღევებული იყო, ნანა რომ წამოდგა. შაქროც ზლაზვნითა და უხალისოდ გამოვიდა საწოლი ოთახიდან. ბაბალე ნანას ნაძალადევ ღიმილს შეეფეთა და თვალი მოარიდა. ქალი იცინოდა. იღიმებოდა, ენა წყლიანობდა. მაგრამ რაღაც გამოუცნობ ბოღმას მალავდა.

— შაქრი, გინდა საუზმე მისაღებ ოთახში გავშალო? — გასძახა ნანამ.

შაქრომ არაფერი უპასუხა და ნანამ თეთრი სუფრა გადააფარა მაგიდას.

ბაია კარადიდან ჩაის ჭურჭელს ალაგებდა. ნანა კანკალით ადევნებდა თვალს. თუმცა ბაია ხელგაწაფული იყო ოჯახის საქმეში, მაგრამ ნანა ძვირფას ჭურჭლის გაშლას მაინც იშვიათად ანდობდა. ახლაც ხელში ეგებებოდა. მხარზე ჩაის ტილო გადაეგდო. ჭურჭელს საგულდაგულოდ სწმენდდა და ერთმანეთზე აწყობდა. სუფრა ბარაქიანი გამოვიდა. დიასახლისმა ორი წიწილი შეწვა და მაგიდის შუაში ჩადგა. გუშინდელი ნარჩენი კატლეტები გააცხელა. ძეხვის რამდენიმე ნაჭერი კიდევ ნახა კარადაში და ყველის თეფშს ამოუდო გვერდით. მაცივრიდან კარაქი გამოიღო და დანით საკარაქეში ჩატენა, ერბოკვერცხი ტაფით მიიტანა.

— დედა, რომელი მურაბა ამოვიღო? იკითხა კარადასთან გაჩერებულმა ნანამ.

— შენს გახარებას ლოლნაშო ან შინდი ამოიღე, თორემ ლუკმის ატეხვა არ მინდა.

იქნებ მჟავე მურაბამ და ცხელმა ჩაიმ გამიხსნას მადა.

მთელი ოჯახი მაგიდას შემოუსხდა. ბაია მადიანად ილუკმებოდა და ბებოს სკოლის ამბებს უყვებოდა. შაქრო იწიწკნებოდა. ნანა წიწილის დაჭრას ცდილობდა და დანით ცოდვილობდა. ბაბალე გაუბედავად ეპარებოდა საჭმელს. ძეხვის ერთი ნაჭერი გადაიღო. მოკბიჩა, მაგრამ პირში სიმწარე იგრძნო. ნანამ „საქსის“ სერვიზის ფინჯანში ჩაი დაუსხა. ცხელმა ჩაიმ პირი ჩაუწმინდა. მურაბა შეათვალიერა და წინ დადგმულ თეფშს იმ შეგრძნებით მიეტანა, როგორითაც ჩვეულებრივ თეფშს იღებდა ხოლმე. ახლა კი ხელში სიმსუბუქე იგრძნო. თეფში თითებს შუა აცეკვდა. ქალმა მეორე ხელის შეშველება ვეღარ მოასწრო და იატაკს დაენარცხა. სხივის სისწრაფით გაიფანტა იატაკზე ნამტვრევები.

დუმილი ჩამოვარდა. ხმას ვერავინ იღებდა.

„საქსი“?! — ძლივს ამოილუღლუღა ნანამ.

„საქსი“?! — ჩაილაპარაკა ბაიამ.

— უჰ!! — ამოიგმინა შაქრომ.

ბაბალე მოცელილივით დაეშვა სკამზე. დაიხარა და ნამტვრევები შეაგროვა, თითქოს უნდა გაამთელოსო.

არავის აღარ აუტეხია ლუკმა. ნანამ თავის ტკივილის აბი დალია და საწოლ ოთახში შეიკეტა. ბაიამ წიგნი აიღო და ჩუმად დაიწყო კითხვა. შაქრო უხმოდ, ფერმიხდილი იჯდა დედის პირდაპირ.

ბაბალეს წინ გაციებული ჩაის ფინჯანი ედგა. ნახევრად გაკბეჩილი ლუკმა თეფშზე ედო. თვალები ამღვრეოდა. აღარაფერი აღარ ესმოდა, გარდა ხმამაღალი სიცილისა. ეს ყურებამდე ყბებგახეული ბუდა ხარხარებდა... ხარხარებდა და მთელ სახლს მისი სიცილის ხმა ავსებდა.

...სამხრობის ხანს, ვიღაცამ ზარი დარეკა. ბაიამ საჭვრიტინოში გაიხედა. კართან ქერა ქალი იდგა და ხელში თეატრის ორი ბილეთი ეჭირა.

— ვინ გნებავთ? — იკითხა ბაიამ.

— მე ბაბალეს მეგობარი ვარ.

— ბებო სოფელში წავიდა.

— შაქრო? მე... შაქროს... — დაიბნა ქალი.

— მამა შინ არ არის.

ქერა ქალი გაოგნებული გატრიალდა. ქუჩაში რომ გავიდა, კიდევ ვერ გამორკვეულიყო. იქვე ახლოს იყო ავტობუსის გაჩერება, მაგრამ არ მოიცადა. ფეხით გაუდგა გზას. ბილეთები დახია და ურნაში ჩაყარა.

მატარებელი ნავთლუღიდან გავიდა. ვაგონში მხოლოდ ბაბალე იჯდა. გვერდით ცარიელი კალათები ელაგა. კალათაში ერთი მრგვალი პური შეუხვეველი იდო. ნიდაყვზე დაყრდნობილი ბაბალე თვალგაშტერებით გაჰყურებდა ლილოს პატარა ბოსტნებსა და ბაღებს. გარეთ წვიმდა. შემოდგომის ცივი, თოვლნარევი წვიმა იყო. წვიმდა, მაგრამ მატარებლის ფანჯრებს არ ასველებდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძოლა უკვე მოსავლისათვის

„იმის გათვალისწინებით, რომ რესპუბლიკაში არის ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მნიშვნელოვანი ნაწილი, საჭიროა ყველა მეურნეობის რენტაბელობის უზრუნველყოფა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის განვითარების ბაზაზე“.

(სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილებიდან).



სოფელ კოთელიის კოლმეურნეობის წევრი რუსუდან ბიბილურიძე

უცნაური არაფერი მომხდარა სოფელში, ცხოვრება, როგორც იტყვიან, თავისი გზით მიდის, მაგრამ ხულგუმოელები (და განა მარტო ხულგუმოელები!), ახალქალაქის რაიონის მთელი მოსახლეობა რაღაც არაჩვეულებრივ შრომით აღზევებას გრძნობს. ეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის 22ივნისის ისტორიული დადგენილების შედეგია.

რამდენი წელია რაიონს ასეთი ბარაქა არ უხილავს! სულ რაღაც ორიოდე წლის წინათ 15 კოლმეურნეობა ზარალიანი იყო და რაიონი სამარცხვინოდ ჩამორჩებოდა სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარებით. შარშან კი მან არა თუ დაძლია წინა სამი წლის დარღვევები, არამედ წარმატებებიც მოიპოვა. 1973 წელს ზარალმა სოფლის მეურნეობაში 253 ათასი მანეთი შეადგინა, 1975 წელს კი რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხალასმა მოგებამ ორ მილიონ მანეთს გადააჭარბა.

სწორედ ასეთი უხვმოსავლიანობაა წელსაც, დიდსა და პატარას სიხარულის შუქი უდგას თვალებში!

სათენიკ ჩივჩიანიც საერთო მიღწევებს გაუხარებია.

შარშან იგი სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება და თავიც ისახელა, თითოეული საფურაკე ძროხიდან გეგმით ნავარაუდევი 2.550 ლიტრის ნაცვლად 3.200 ლიტრი რძე ჩამოწველა.









სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის
მწველავი ჟენია პაპოიანი



ფერადი სლაიდები დ. იაკობაშვილისა

ნოვატორი მწველავი სათენიკ ჩივჩიანი გამოეხმაურა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის დადგენილებას. იგი ახალი წამოწყების ინიციატორი გახდა, ივალდებულა თითოეული მეწველი ძროხიდან 3.350-4.000 ლიტრი მაღალცხიმიანი რძე მიიღოს, 100 პროცენტით შეინარჩუნოს ნამატი, ერთი ცენტნერი რძის თვითღირებულება 17,5 მანეთამდე შეამციროს.

კომუნისტ ნოვატორს მხარი აუბეს როგორც მისი სოფლის ხულგუმოს, ისე მეზობელი სოფლების — ხანდოს, კოთელიის, დილისკას, ვაჩიანის მეცხოველეებმა.

ვაჩიანის მეურნეობა ერთ-ერთი მოწინავეა ახალქალაქის რაიონში. მეურნეობას 2752 სული მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და 6 300 სული ცხვარი ჰყავს.

შარშან ვაჩიანელმა მეცხოველეებმა ვაჟკაცურად იშრომეს, უხვი პროდუქტებით გაახარეს დედა-სამშობლო. წლეულს კი — მეათე ხუთწლედის პირველი წლის იანვრიდანვე დაიჭირეს თადარიგი საკვების დასამზადებლად.

მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად წლეულს პირველად, მრავალწლიანი ბალახის სასენაყედ აღების შემდეგ, 500 ჰექტარი მიწა ხელახლა გაანოყიერეს მინერალური სასუქით, მორწყეს და ბალახის მეორე მოსავლის მისაღებად ესპარცეტი დათესეს.

ვიდრე მეურნეობის მუშაკები საკვების მოყვანისათვის ზრუნავდნენ, ვაჩიანელი მეცხოველეები მურჯახეთისა და ხართის საზაფხულო იალაღებზე უვლიდნენ საქონელს.

მურჯახეთში შექმნილია მწველავთა კომკავშირული ბრიგადა, რომელსაც გულამ მელქონიანი ხელმძღვანელობს, ბრიგადა გამოეხმაურა სათენიკ ჩივჩიანის პატრიოტულ წამოწყებას და ვალდებულება იკისრა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 59-ე წლისთავისათვის სახელმწიფოსათვის რძის პროდუქტებისა და ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა შეესრულებინა.

მეგობრული შეჯიბრება აქვთ გაჩაღებული მწველავ ქალებს ჯულიეტა ვარტერესიანს, მარუსია შაინიანს, ლიზა იშხანიანს, ქენია ბაღჩოიანს. მათ იციან, რომ მიზნის მიღწევისას მუდამ არის სიძნელეები, რომელთა დაძლევაშია სწორედ შრომით მოპოვებული სიხარული.

როცა სათენიკ ჩივჩიანის ინიციატივა სოფელ ხანდოს კოლმეურნეობის მწველავებმაც აიტაცეს, რაიონის საამაყო მწველავი — საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი ქეხია პაპოიანი პირადად შეხვდა ახალგაზრდა კოლეგას, გულთბილად ესაუბრა სოფლის მეურნეობისა და, კერძოდ, მეცხოველეობის განვითარების პერსპექტივებზე, სოფელში მიიწვია და თავისი ფერმა უჩვენა, მასავით ახალგაზრდა მწველავები ლიზა აკოპიანი და ლილი ჩალოიანი გააცნო.

სწორედ მაშინ უთხრა სათენიკმა ხანდოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მაიკლ საარიანს: — მეყაითი და გამრჯე ქალი ბევრია რაიონში, ისინი არ იშურებენ ძალ-ღონეს სახელმწიფო დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის, მაგრამ გულდასაწყვეტია, რომ მთელს რაიონში, არცერთ კოლმეურნეობას არ გააჩნია მექანიზებული ფერმა, ჩვენი ქალები ყოველგვარ სამუშაოს ხელით ასრულებენ.

ახალქალაქის რაიონში სოფლის მეურნეობის დარგებიდან მეკარტოფილეობა დიდად არის განვითარებული.

ახალქალაქელებმა შარშან კარტოფილის სარეკორდო მოსავალი მიიღეს, სახელმწიფოს 26.700 ტონა კარტოფილი მიჰყიდეს.

კარტოფილის მოყვანაში გადამწყვეტ როლს ქალები ასრულებენ.

— ჩვენი ქალები არაფერში ჩამორჩებიან თავიანთ მამებსა და ქმრებს, — ამბობს პარტიის რაიკომის მეორე მდივანი ზაურ გოგოლაძე, — ისინი აგროტექნიკურ სამუშაოს ვაჟკაცურად უძღვებიან.

მართლაც, გასაკვირია ჯავახელი ქალების შრომისუნარიანობა. ისინი ხელებდაკაპიწებულები მანქანებს ტვირთავენ, ზვინებს დგამენ, უზარმაზარ ნაკვეთებს რწყავენ.

რაიონის ხელმძღვანელობა მტკიცედ ადგას სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის გზას, ყველა ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ წლეულს შარშანდელზე უხვი მოსავალი მოიყვანონ.

რაიონის მეკარტოფილეებმა ყველა საგაზაფხულო სამუშაო მოკლე ვადებში და მაღალხარისხოვნად შეასრულეს.

პარტიის რაიკომის ინიციატივით ახალქალაქში მოეწყო საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია კარტოფილის წარმოებისა და მისი მექანიზებული დამუშავების საკითხებზე. კონფერენციაზე წამოჭრილმა პრობლემებმა ბევრ საკითხს მოჰფინა შუქი, ბევრი სიახლის დანერგვას შეუწყო ხელი. კარტოფილის ნათესების მექანიზებული დამუშავება სწორედ მის მერე გაიზარდა 15-20 პროცენტით.

წლეულს — ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედის პირველ წელს 12 ათას ტონამდე მაღალხარისხოვანი სათესლე მასალა შეარჩიეს, კარტოფილის სათესი ფართობები კი 35 ჰექტარით გაზარდეს.

კარტოფილის ნათესების კარგი მოვლით თავი გამოიჩინეს ბურნაშეთის, ხულგუმოს, ხანდოს, თოთხამის, ვაჩიანის კოლმეურნეობებმა.

ვაჩიანის, ოკამის საბჭოთა მეურნეობებისა და დილისკის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციებს ეკუთვნით კარტოფილის სარგავი ფართობების გადაადგილების ინიციატივა მაღალმთიანი ნიადაგებიდან, რომლებიც შედარებით ნაკლებნოყიერია და ხშირად იყინება გაზაფხულობით; ნათესები გადაადგილდა შედარებით დაბალი ზონის ეხვმოსავლიან, ნოყიერ და სარწყავ ნაკვეთებზე, რომელთა მექანიზებული დამუშავების სრული შესაძლებლობა არსებობს.

წლეულს რაიონის მემინდვრეები დიდი ამოცანის წინაშე დგანან — სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 30 ათას ტონამდე კარტოფილი. ამ ამოცანის გადაწყვეტის რეალობაში ეჭვი არავის ეპარება.

ახალქალაქის რაიონის სოფლები წყლის რესურსების სიმცირეს განიცდიან. ცხადია, მიწების გაუსარწყავებლად არ შეიძლება უხვი მოსავლის მოყვანა.

ამიტომ იყო, რომ შარშან მკაცრად დაისვა რაიონის მცირე მელიორაციის საკითხი. კომუნისტებმა მინიმალური დანახარჯებით ააშენეს 0,6 მილიონ კუბურ მეტრამდე საერთო ტევადობის 17 წყალსატევი და შეძლეს დამატებით მოერწყათ 500 ჰექტარი ურწყავი მიწა. ეს ითქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის II პლენუმზე და ახალქალაქელ მშრომელთა ინიციატივა მოიწონეს.

წლეულს კიდევ უფრო ფართოვდება წყალსატევების მშენებლობა. იგი რაიონში სახალხო მშენებლობად არის გამოცხადებული. ცოტად თუ ბევრად ყველა ორგანიზაცია იღებს მონაწილეობას ჰიდრონაგებობათა მოწყობაში.

უკვე ჩაწყობილია 26 კილომეტრი საერთო სიგრძის მილები აბლარის წყაროდან და ზრესის ტბიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ზრესის ტბა რამდენიმე ხნის წინათ საერთოდ არ არსებობდა. იგი ხელოვნურია და დანაწრეტი წყლით ამოივსო.

ვაჩიანის საბჭოთა მეურნეობაში 350 ჰექტარი კარტოფილის ნათესი ახლა მთლიანად წყალსატევში დაგროვილი წყლით ირწყვება. წყალსატევს კი ვაჩიანელები მთებიდან დანაწრეტი და მდინარე მურჯახეთიდან ამოტუმბული წყლით ავსებენ.

ასეთივე მეთოდით იმარაგებენ სარწყავ წყალს რაიონის დანარჩენი სოფლების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

პირველი ნაბიჯების სიკეთემ ენერგია გაუორკეცა ახალქალაქელ მელიორატორებს — მათ მიიღეს გადაწყვეტილება — 1976 წლის ბოლომდე კიდევ 25 მცირე წყალსატევი შეიმატონ, მაშინ დამატებით მორწყავენ 900 ჰექტარ მიწას.

ეს კი კარტოფილის უხვი და მყარი მოსავლის გარანტიას იძლევა.

უ. ზარეკიძე,
ახალქალაქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიეტურ სასადილოში

იმ დილით შინ ვერ ვისაუზმე. მეჩქარებოდა. საქმეები მოვითავე და პლეხანოვის პროსპექტზე რომ 43-ე დიეტური სასადილოა, იმას მივაშურე (პირველი მაისის რაიონის საზკვების ტრესტის გაერთიანება).

დარბაზში ფეხი შევდგი თუ არა, იძ წამს თვალში მეცა გაშიშვლებული უსუფრო მაგიდები, და ჩამუქებული, დიდიხნის ურემონტო კედლები. მზერა მაგიდასთან მჯდარ ერთ ხანშესულ მამაკაცისკენ გამექცა. ცალ ხელში ჩანგალი ეჭირა, ცალით კი აბეზარ ბუზს იგერიებდა. ვიტრინების რაფებზე ქლოროფოსიანი თეფშები იდგა, მაგრამ ბუზები, ეტყობა, მაინც ალწევდნენ თავს მახეს, თეთრხალათიანი დამლაგებელი ქალები მაგიდებს ალაგებდნენ, საეჭვო ფერის სველი ტილოთი წმენდდნენ ლინოლეუმს. გვერდითა მაგიდიდან ჭაღარა მამაკაცი დამლაგებელს ედავებოდა: მაგიდაზე სამარილე რატომ არა დგას, ახლავე დირექტორს დამიძახეო. ქალმა მარილი ქაღალდზე დაყარა და წინ დაუდო. მაგიდებს გადავხედე. სამარილე არსად იდგა. მამაკაცი არ ცხრებოდა: ახლავე დირექტორი მომგვარეთ აქ, ეს არის კულტურული მომსახურება, მარილს რო ქაღალდზე მიყრითო?! დამლაგებელი ქალი დირექტორის დასაძახებლად გაიქცა. მეც უკან მივყევი.

კაბინეტში დირექტორის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი ნიკოლოზ სხირტლაძე იჯდა. მან დამლაგებელ ქალს ყურადღებით მოუსმინა.

— ხომ გითხარი, მარილი ქაღალდზე დაყარე და ისე დააწყე მაგიდებზე.

მერე მე მომიბრუნდა:

— მთელი თბილისი მოვიარე, ქალბატონო, და სამარილეები ვერ ვიშოვე, ტრესტსაც არა აქვს. აქ დიდხანს არც სამარილე ძლებს და არც ჭიქები, გატეხილი არ მინახავს და სად ქრება, კაცმა არ იცის!

საუზმე გადამავიწყდა. გადავწყვიტე ამ სასადილოს ასავალ-დასავალი შემეტყო და სხირტლაძეს საუბარი გავუბი.

— სასადილო დღეში 500-600 ავადმყოფს ემსახურება: 50-მდე კაცი პროფსაბჭოს საგზურებითაა მომაგრებული. 200-მდე ჩვენს ექიმს ჰყავს აღრიცხვაზე აყვანილი, ისინი მხოლოდ აქ საუზმობენ, სადილობენ და ვახშმობენ. მათ კუჭნაწლავის ტრაქტის ქრონიკული დაავადებები აქვთ, არიან გულით, დიაბეტით დაავადებულნიც. ჩვენი მუდმივი სტუმრები გახლავან პენსიონერები, ომის ვეტერანები. ზოგიერთი ათ წელზე მეტია აქ იკვებება. ბევრი სასადილოს მუშაობაშიც კი იღებს მონაწილეობას. მაგალითად, რომელიმე პროდუქტის მოტანა თუ შეფერხდა, და მის მოსატანად ხელი გვეშლება, ჩვენი მუდმივი კლიენტები გვშველიან, — ამბობს ნიკოლოზი.

აგერ უკვე 17 წელია დიეტურ სასადილოში მუშაობს ექიმი ვასასი ჭიჭინაძე. იგი 70 წლისაა, მაგრამ მთელი ენერგიით ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ვასასი განსაკუთრებული სიფრთხილით ურჩევს დიეტას ახალ ავადმყოფებს.

აქ ავადმყოფებს სთავაზობენ 15 სახის დიეტურ კერძებს. მაგიდებთან კედელზე ჩარჩოში ჩასმულ ფურცელზე განმარტებულია ამა თუ იმ დიეტის მნიშვნელობა და მარგებლობა. მენიუ მრავალფეროვანია. ყოველდღიურად იცვლება და მზადდება გემრიელი კერძები თუ ვიტამინებით მდიდარი სალათები და ვინეგრეტები, მეორე თავი კერძები მდიდარია ცხოველური წარმოშობის ცილებით. ცილები შეიცავს ძვირფას ამინომჟავებს, რომლებიც ორგანიზმის უჯრედების „საშენი მასალაა“.

— ასეთი მომარაგება, წელს რომ არის, ჯერ არ მახსოვს, — ამბობს სხირტლაძე, — ჩვენ ხილბოსტნეულის საწყობი გვამარაგებს. ეს საწყობი კი პროდუქტებს გარდაბნის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობიდან იღებს. ახალი ბოსტნეული, ქორფა მწვანილი, ხილი — რამდენიც გნებავთ. წარვუდგენთ თუ არა მოთხოვნას, მეორე დღესვე მოგვადგება ხოლმე სურნელოვანი მწვანილით და ბოსტნეულით დატვირთული მანქანა.

ზოგს ხილი და ბოსტნეული უმად არ ექმევა. მათთვის სპეციალურად ამზადებენ ხილის, ასკილის წვენს და კომპოტებს.

— ჩვენი სასადილო სკოლა-სასადილოც არის. აქ საწარმოო პრაქტიკას მე ვხელმძღვანელობ. წელიწადში 20 გოგოხა ეუფლება მზარეულის პროფესიას. სასადილოს ფილიალები მუშაობენ პარტიის პირველი მაისის რაიკომში, საოფთიაქო სამმართველოში, ლუდის ქარხანაში, გვაქვს აგრეთვე ნახევარფაბრიკატების მაღაზიაც. ამ უკანასკნელის მომარაგება კი გვიჭირს, რადგან მაღაზია დიდი მანძილითაა დაშორებული და ფარში რომ ფარშია, სანამ იქ მივიტანთ, გზაში შეიძლება გაფუჭდეს კიდეც, ფარშის გაჩერება ხომ მხოლოდ ორ საათს შეიძლება.

პურის ასორტიმენტმა დამაინტერესა.

— პური? შავიც გვაქვს და თეთრიც. სასურველია არჩევანი დიდი იყოს, გვქონდეს დიაბეტური, ქვავისა და სხვა, მაგრამ, რატომღაც, ვერ ვახერხებთ. უფრო მეტიც, აგერ ექვსი თვეა ქსილიტი, სორბიტი და სახარინი არ მიგვიღია. ამიტომ დიაბეტით დაავადებულთათვის ვერც ნამცხვარს და ვერც დესერტს ვერ ვამზადებთ. არც დიაბეტურ ლიმონათს გვაწვდის ქარხანა. ჩვენ დღეში ათი-ოცი ბოთლი გვჭირდება, ქარხანა კი ათას ბოთლს გვთავაზობს (!!), ნაკლებს არ გვაძლევს.

ნიკოლოზს სხვა პრეტენზიებიც აქვს. სასადილო ძველსა და პატარა შენობაშია მოთავსებული. სასადილო დარბაზი პატარაა. ერთდროულად აქ მხოლოდ 84 კაცი ნაყრდება. არის შემთხვევები, როცა რიგი ჩნდება. თვითმომსახურება მოუწესრიგებელია. ისეთ ავადმყოფებს, რომელთაც თვითონ არ შეუძლიათ კერძის მიტანა მაგიდასთან, დამლაგებლები ეხმარებიან. სასადილოს არა აქვს დასასვენებელი ოთახი, სადაც სადილის შემდეგ შეიძლება ავადმყოფი წამოწვეს, დაისვენოს.

სასადილოს მომსახურე პერსონალს თავისი პრეტენზიები აქვს, იმას ვილას გადაბრალებენ, რომ გაუჭირდათ პატარა, უმნიშვნელო „პრობლემების“ გადაჭრა — ყავისფერ ლინოლიუმიან მაგიდებზე სუფრის, თუნდაც ლამაზად მოჩითული მუშამბის გადაფარება, თითო-ოროლა ბუზის მოსპობა, სამარილეების შეძენა. ეს თითქოს „წვრილმანი“ შესვლისთანავე გეცემათ თვალში.

და, ეს იმ დროს, როცა ჩვენი რესპუბლიკა გრანდიოზულ ამოცანებს წყვეტს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

— საწყენია, უთუოდ, საწყენია!

**ეთერ როსტომაშვილი**





# განდობთ ჩემს შვილს...

შვილი! იგი სიცოცხლეზე ძვირფასია, ამიტომ ყველა დედას ჰგონია, რომ მას ვერავის ანდობს. მაგრამ ცხოვრებას თავისი მოთხოვნები აქვს. დედები მშრომელთა არმიის დიდ ნაწილს შეადგენენ. დედები, მათ შორის, მრავალშვილიანი დედები, ქმნიან სიმდიდრეს, ქვეყნის მატერიალურ სულიერ დოვლათს. ისინი თავისებურად, სწორედ რომ შვილის სიყვარულით აღვსილნი, საქმიანობენ, იღვწიან სახელმწიფო დავალებათა და ამოცანათა უთუო შესრულებისათვის.

დედები ბევრს არ მოითხოვენ. მათთვის მთავარია შვილი ჰყავდეთ კარგად! და თუ მას ყურადღება და მოვლა აკლია, მაშინ დედის რისხვას ვერავინ გადაურჩება.

— როგორ გემსახურებიან თქვენ, დედებო? — ამ კითხვით მივმართავთ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის №1 სამკერვალო ფაბრიკის მუშა-მოსამსახურე ქალებს, რომელთაც ბავშვები ბაგაში დაჰყავთ, მთელ დღეს გეგმების შესრულებისათვის თავაუღებლად იბრძვიან, ხარისხის ნიშნიან პროდუქციას უშვებენ და მომხმარებელი კმაყოფილი ჰყავთ.

გულმშვიდად ვმუშაობთ, გვჯერა, ფაბრიკის ბაგაში შვილებს ჩვენზე უკეთ უვლიან, საღამოს, შინ რომ მიგვყავს, გაზრდილებიც ჩანან, წონაში მომატებულნიც; სუფთად ჩაცმულები და ფაქიზად მოვლილები მხიარულად ჟღურტულებენ.

ერთი მათგანი კიდევ უფრო გაგვენდო და გულახდილად გვითხრა:

—ზოგჯერ ბაგაში მისვლამდე ბავშვი ჩაისველებს ხოლმე, ბაგიდან რომ მოგვყავს, იგივე ტანსაცმელი გარეცხილი და გაუთავებული გვხვდება.

— პატარები საერთოდ ადვილად ცივდებიან, ხან ახველებთ, ხან სურდო აწუხებთ. საღამომდე — შინ წაყვანამდე მათ ყოველგვარი მკურნალობა უტარდებათ და თითქმის მორჩენილები გვხვდებიან, — თქვა მუშა ქალმა და დიდი კმაყოფილება გამოხატა ბაგის გამგის, რესპუბლიკის დამსახურებული პედიატრის არიშა კალანდაძის მიმართ.

არის შემთხვევა, როდესაც ბავშვს დედა ავად უხდება. მაშინ პატარას ღამითაც ტოვებენ ბაგაში. ამ უფლებით სარგებლობენ ის დედებიც, რომელთაც ცუდი საბინაო პირობები აქვთ (ნაქირავებ ბინაში ან საერთო საცხოვრებელში ცხოვრობენ). იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება ხოლმე, დედა სადმე მიდის, ვთქვათ რაიონში, მაშინაც დახმარედ ბავშვთა ბაგა მოევლინებათ.

და ყვებიან დედები ამბავს იმ შეღავათებისა და დახმარებისას, რომლებსაც ყოველწუთს გრძნობენ ჩვილის აღზრდისას.

ფაბრიკის ახლოს, ტურგენევის ქუჩაზე ძველი შენობაა. წინათ აქ ერთ შეძლებულ თბილისელს უცხოვრია. როცა საქართველოს მსუბუქ მრეწველობას № 1 სამკერვალო ფაბრიკა შეემატა, ბაგა ამ სახლში გახსნეს.

ბაგისათვის ეს შენობა შეუფერებელია, მაგრამ რამდენი შრომა და ენერგია დაუხარჯავს ბაგის გამგეს არიშა კალანდაძეს, რომ გეგმიანად, საჭიროებისამებრ გამოეყენებინა ყოველი მეტრი: დედა შვილს პატარა მისაღებში ტოვებს. ბავშვს ექთანი იღებს ყოველგვარი წესის დაცვით. ხშირად აქვე, ამ მისაღებში ექთანი მშობლებსაც ესაუბრება.

ჯგუფებში პატარები ასაკის მიხედვით არიან განაწილებულნი; აბაზანები, ცხელი და ცივი წყალი, მანეჟები, სასრიალოები, სათამაშოები, სუფთა საძილე ოთახები, სასადილო, ყველაფერი საზეიმოდ, მიმზიდველად და ფაქიზად გამოიყურება! ასე გგონია, შენობა სპეციალურად ბაგისთვის აუგიათო.

პატარებს ასეირნებენ ეზოში, სადაც უხვადაა მარადმწვანე მცენარეები, საჩრდილობლები, გასართობები.

ოცდახუთი წელი მოანდომა არიშა კალანდაძემ ბაგის კეთილმოწყობას. ოცდახუთი წელია, რაც ის ბაგის გამგეა და ყოველდღიურად სამოცი დედის გულწრფელ სიტყვებს ისმენს:

— განდობთ ჩემს შვილს!

პატივცემული არიშა იგონებს ერთ დედას, რომელმაც აგარაკზე გამგზავრების წინ პირდაპირ მატარებელში შემოიყვანა შვილი და დატოვა. ბავშვი ახალი ნაავადმყოფარი იყო და მისი ქალაქიდან გაყვანა არ შეიძლებოდა. მატარებელი დაიძრა. ყველაფერი კეთილად დამთავრდა. ორი თვის მერე დედამ შვილი ვეღარ იცნო.

— ჩვენ დედების სიმშვიდეს ვემსახურებით, — თქვა ქალბატონმა არიშამ,

— როცა მშობლები კმაყოფილები არიან, ბედნიერნი მაშინა ვართ.

არიშამ უდიდესი მოვალეობის შეგნებით დაიწყო მუშაობა ექიმის თანაშემწედ. მალე ცოდნის გაღრმავება მოინდომა და სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა. შემდეგ ჩვილ ბავშვთა სახლის გამგედ მუშაობდა წლების მანძილზე, გავიდა ხანი და მაუდ-კამვოლის კომბინატის მუშათა შვილების მოვლა ითავა, დღეს არიშა კალანდაძე კვლავ ბავშვებთანაა — მომხიბვლელი, ელეგანტური და ენერგიით სავსე.

ლ. ნინიძე

I3 058

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მზია ხეთაგური

* * *

ამიციმციმდა ია-ია
სიკეთისათვის,
მზე ამობრძანდა ფეხშიშველი,
სიცხოვლისათვის.
გზა დაიდაფნა ნაეკლარი
სტუმრებისათვის,
ჰაერი ჰაერს მიემატა
სიცოცხლისათვის,
წუთისოფელი ახმიანდა
მებალისათვის,
მენაგვე ეზოს ასუფთავებს
მებალისათვის,
მებალე ვარდებს ასულდგმულებს
მაგ ბალღისათვის,
ბავშვი სკოლიდან იპარება
მეგობრისათვის,
ბილიკი ბილიკს დაედევნა
შარა გზისათვის.
ჯიხვი რქით კლდეებს მიეჯახა,
ტრფიალისათვის,
რქა მოიტეხა, ყანწად იქცა
მეარღნისათვის,
ჯიხვი სისხლისგან დაიცალა,
ყანწი ღვინისგან...
და ვცოცხლობ, ვცოცხლობთ
იმედით და
იმედისათვის.

### ნეტავ მკითხოს და...

რას ვეტყვი,
ნეტავი?
ახლა რას ვეტყვი —
თუ მკითხავს ჯიუტად
მზისას და მთვარისას?
მთისას და ბარისას,
ცისას და ნამისას,
და ყოველ წამისას
ამ შუაღამისას...
პასუხი ამისა
არის მონატრება,
ნეტავი მკითხოს და...
ნეტავ არ გამიშვას.

### სარეცხი

დამიგროვდა დასარეცხი.
ყოფითია ეს წვრილმანი.
დამიგროვდა საკუთარი,
ბავშვის, ქმრის და ნათესავის.
მოვიცილებ ბარემ, წყალი,
მადლობა ღმერთს, ბლომად მოდის.
იქ — სადილი, იქ ვახშამი,
იქ—სტუმარი სტუმარს მოსდევს.
რეცხვა,
კემსვა,
ხარშვა,
ვალი —
და ათასი საზრუნავი.
შვილს საწერი ქაღალდებით
დავუმზადებ კოხტა ნავებს.
მოევლება ყველა საქმეს.
დავაპურებ ყველა მერცხალს...
ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ სინდისი
დამიგროვდეს დასარეცხად!

## ეთერ მეგურიშვილი

### სურვილი

ქვეყნად დიდს არას ვნატრობდი —
ერთგულ ქმარსა და მეგობარს,
სადმე, იმერულ სოფელში,
მწვანეში ჩაფლულ ეზო-კარს.
ღმერთმანი, მე სხვა სიმდიდრეს
არ ვინატრებდი, ოღონდაც
მყოლოდა ბევრი შვილები
და დიდი გული მქონოდა.
ზამთარშიც მოვირთვებოდი
აყვავებული ფიქრებით,
სიცოცხლის დასასრულამდე
შვილების ფრთებით ვიფრენდი.
ქვეყნად დიდს არას ვნატრობდი,
ერთგულ ქმარსა და მეგობარს,
სადმე, იმერულ სოფელში
მწვანეში ჩაფლულ ეზო-კარს.

### მზესაც ახარებს...

ისევ აინთო სულში წადილი,
შემომატარა მთები ბავშვივით.
შემომახვია როგორც მანდილი
ის სიყვარული აფრააშლილი.
გაზაფხულის მზე ცხრა თვალით მიცქერს
მზესაც ახარებს ჩემი დედობა.
ავსებული ვარ სიკეთით ისე,
რომ დედა ჩიტიც ბარტყებს მენდობა.

# წიგნის სამსახურში

თბილისი. რუსთაველის პროსპექტი № 44. ხელისმოწერით გამოცემული წიგნის მაღაზია № 31. ამ მაღაზიას კარგად იცნობს თბილისელი მკითხველი: აგერ, ოცდაათი წელია წიგნისმოყვარულთა ტალღა განუწყვეტლივ მიედინება მისკენ (სხვათა შორის, მკითხველთა ამ მოზღვავების გამო გაიხსნა პლეხანოვის პროსპექტზე ამგვარივე მეორე მაღაზია). თუ პირველ წლებში, წიგნით ვაჭრობის წლიური ბრუნვა რამდენიმე ათასი მანეთით განისაზღვრებოდა, 1971 წლისათვის ამ თანხამ 300 ათას მანეთს მიაღწია, სოციალისტური ვალდებულება კი (376.000 მანეთი) მაღაზიამ შარშან 2 დეკემბრისათვის შეასრულა, რა თქმა უნდა, ამ წარმატებაში თავისი წილი უდევს მაღაზიის თანამშრომელთა კოლექტივს. მაღალდისციპლინებული, მუყაითი და კეთილსინდისიერი ოცდაორი ადამიანია, მათ შორის — 18 ქალი გახლავთ.

აქ მუდმივი ხალხმრავლობაა, მაგრამ სანიმუშო სისუფთავე და სიწყნარე სუფევს. მაღალია ხელისმომწერთა მომსახურების კულტურა. ამ კოლექტივის თითოეული წევრი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება თავის სამუშაო უბანს. და მაინც არ შეიძლება უკეთესთა შორის უკეთესნი არ დავასახელოთ: ესენი არიან სექციის გამგე შოველი ქობლიანიძე, ხელისმოწერის მაგიდის გამგე ლიდა მაიერი, კართოთეკარი გალინა შუშანიანი, გამყიდველები: ია გვიშიანი და ლამარა პავლოვა...

ამ მტკიცე კოლექტივს სათავეში წიგნით ვაჭრობის მშვენიერი ორგანიზატორი იზოლდა სუპატაშვილი უდგას. ყველგან, ყველაფერში იგრძნობა დირექტორის მზრუნველი ხელი და გამოცდილი თვალი. იგი 1957 წლიდან მუშაობს საქწიგნის სისტემაში. მუშაობდა უფროს გამყიდველად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წიგნების კიოსკის გამგედ. 1974 წელს კი № 31 მაღაზიის დირექტორად დანიშნეს. იზოლდა სუპატაშვილი კომუნისტური პარტიის წევრია. თავისუფალ დროს ცოდნას იღრმავებს, დიდი გულისყურით სწავლობს მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებს.

წიგნის აქტიური პროპაგანდისათვის, ამიერკავკასიის სასაზღვრო ჯარების საუკეთესო მომსახურებისა და მუყაითი მუშაობისათვის იზოლდა სუპატაშვილი დაჯილდოებულია საპატიო სიგელებით, სამკერდე ნიშნებითა და მედლებით. დღეს დირექტორისა და მაღაზიის მთელი კოლექტივის საზრუნავი ის არის, რომ ხელისმომწერი მათგან უკმაყოფილო არ წავიდეს.

შ. ჟურული

# ნიჭიერი სამეული





ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო დრო, როდესაც ძლიერი მოჭადრაკე ქალები მსოფლიოში თითებზე ჩამოითვლებოდნენ. ბევრს წერდნენ მსოფლიოს ჩემპიონის ვერა მენჩიკის ოსტატობაზე, გამოჩენილ ვაჟ მოჭადრაკეებთან მის ცალკეულ გამარჯვებებზე და იმაზეც, რომ მას ქალთა შორის ბადალი არ ჰყავდა. ეს მარტო მენჩიკის ძალაზე როდი მეტყველებდა, უფრო იმას ნიშნავდა, რომ ჭადრაკი ქალთა შორის ვერა და ვერ განვითარდა. მენჩიკი ხომ ფაქტიურად მარტო იყო.

ასეთი მდგომარეობა შემდეგშიც დიდხანს გაგრძელდა. 1959 წელს მოსკოვში გაიმართა მატჩი მსოფლიოს პირველობაზე ელისაბედ ბიკოვასა და კირა ზვორიკინას შორის. ერთ-ერთი პარტიის დასასწრებლად მოვედი, და რა ნახა ჩემმა თვალებმა— სცენაზე მეტი ხალხი იყო (ორი მოჭადრაკე, მსაჯები, სეკუნდანტები, დემონსტრატორები), ვიდრე მაყურებელთა დარბაზში. საქმე ის კი არაა, რომ მსოფლიოს მაშინდელი ჩემპიონი ბიკოვა და მისი მეტოქე ზვორიკინა სუსტად თამაშობდნენ; ჭადრაკის გულშემატკივრები ჯერ კიდევ ვერ დარწმუნებულიყვნენ, რომ მოჭადრაკე ქალთა პარტიებზეც ღირდა დასწრება.

1962 წელს ამაში სკეპტიკოსი გულშემატკივრები ახალმა მსოფლიოს ჩემპიონმა ნონა გაფრინდაშვილმა დაარწმუნა. ჩვენ აქ არ შევუდგებით მის მრავალრიცხოვან მიღწევათა ხელახლა ჩამოთვლას, ვიტყვით მხოლოდ, რომ თუ დღეს უამრავ ქვეყანაში ასევე უამრავი მოჭადრაკე ქალი დაწინაურდა, ეს, უპირველეს ყოვლისა ნონა გაფრინდაშვილის დამსახურება გახლავთ.

ნონა გაფრინდაშვილი არ ყოფილა მაია ჩიბურდანიძის, ნინო გურიელისა და ნანა იოსელიანის მწვრთნელი, მაგრამ ამ სამი ნიჭიერი გოგონას ჩამოყალიბებასა და დაწინაურებაში, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი სიტყვა სწორედ მას ეკუთვნის.

## მაია ჩიბურდანიძე

როდესაც მაიამ ქუთაისის პიონერთა სახლში თამაში დაიწყო, უკვე ბევრი რამ იცოდა ნონა გაფრინდაშვილისა და ნანა ალექსანდრიას მიღწევების შესახებ. ისიც იცოდა, ვისთვის უნდა მიებაძა. მის მწვრთნელებსაც ჰქონდათ სათანადო გამოცდილება და კონტაქტი დაუვიწყარ ვახტანგ ქარსელაძის „სამჭედლოსთან".

წინამორბედებსა და ისტორიულ მაგალითებს დიდი როლი მიუძღვით, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მაიას მწვრთნელებმა უნიკალურ ალმასს მიაგნეს. საერთაშორისო ოსტატის წოდების მოსაპოვებლად ნორმის ორჯერ შესრულებაა საჭირო, მაგრამ როდესაც სრულიად ნორჩმა მაიამ ევროპის ცნობილ ოსტატებს რუმინეთში პირდაპირ შავი დღე აყარა, საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციამ არც ნორმის შესრულებას მოუცადა და არც თავისსავე მორიგ კონგრესს — როგორც ამას უაღრესად იშვიათ შემთხვევებში აკეთებს, ადგა და მაიას ეს უმაღლესი საჭადრაკო წოდება მიანიჭა (მაშინ ქალთა შორის დიდოსტატის წოდება ჯერ კიდევ არ იყო შემოღებული).

15 წლის მაიამ საკავშირო ჩემპიონატის მეოთხედფინალში მიიღო მონაწილეობა, რაც არავის არასდროს გაუკეთებია. 14 წლისამ მსოფლიოს პირველობის საზონათშორისო ტურნირის საგზური მიიღო, მოიგო რამდენიმე საერთაშორისო ტურნირი და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის საჭადრაკო ჟურნალების რედაქტორები „დაარწმუნა", რომ მისი პარტიების გამოქვეყნება „მომგებიანი საქმე" გახლავთ.

ერთი სიტყვით, მაია ჩიბურდანიძე ის მოჭადრაკეა, რომლისაგან მომავალში უდიდეს მიღწევებს უნდა მოველოდეთ.

## ნინო გურიელი

საბჭოთა კავშირის ნაკრები ქალთა ოლიმპიადებში ასეთი შემადგენლობით გამოდის ხოლმე: ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია და ირინე ლევიტინა. ორი მათგანი მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტი იყო და ახლაც ასეა. ადრინდელი მიღწევების გამო ისინი საზონათშორისო ტურნირებში მონაწილეობისაგან განთავისუფლდნენ და ნონას მეტოქის შესარჩევ ბრძოლაში გაისად ჩაებმებიან.

და აი 15 წლის ნინო გურიელმა თბილისში, საბჭოთა კავშირის 36-ე ჩემპიონატში ისეთი რამ ჩაიდინა, რაზეც მანამდე ვერც ერთი მოჭადრაკე ვერ იოცნებებდა — მან ნონა გაფრინდაშვილიც დაამარცხა, ნანა ალექსანდრიაც და ირინე ლევიტინაც. თანაც გამარჯვებაც არის და გამარჯვებაც! ნინომ სავსებით დაიმსახურა ეს ტრიუმფი მეტისმეტად თამამი, ენერგიული, პირდაპირ ცეცხლოვანი თამაშით, ხომ ცნობილია, რაოდენ ძნელია ოსტატის ნორმის შესრულება და ისიც საკავშირო ჩემპიონატის ფინალში! თითქოს აქ არაფერია, ნინო გურიელმა ეს ნორმა სრულიად იოლად, ძალდაუტანებლად, გადაჭარბებით შეასრულა და, ეჭვი არ არის, მისგან ახალ-ახალ მიღწევებს უნდა მოველოდეთ. „ნონოს ძალიან ბევრი რამ შეუძლია, — გვითხრა საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ბორის პერსიცმა, — მე ამაში სავსებით დავრწმუნდი. 1975 წელს ფრუნზეში გამართულ საკავშირო ჩემპიონატზე ბელავენეცს ვახლდი. გამოგიტყდებით, იგი მაშინ სუსტად თამაშობდა. გავიდა ერთი წელი და ასეთივე ჩემპიონატში თბილისში ნინო შეჯიბრების ნამდვილი გმირი გახდა".

ჩვენ არ გვინდა გამოცდილი სპეციალისტების სიტყვებს რაიმე დავუმატოთ.



ნანა იოსელიანი

ნანა თავის მეგობრებზე რამდენადმე უმცროსია. ამ ორი წლის წინათ სახელოვანმა დიდოსტატმა პაულ კერესმა მის ნიჭს ყურადღება მიაქცია და გოგონას რამდენიმე რჩევაც კი მისცა. წლეულს, როდესაც ნანამ საკავშირო გუნდურ შეჯიბრებაზე (პირველი ლიგა) ყველა პარტია მოიგო, მეორე, გამოჩენილი სპეციალისტის, დიდოსტატ იური ავერბახის ქება დაიმსახურა.

რით იპყრობს ნანა იოსელიანი ასეთ ყურადღებას?! უპირველეს ყოვლისა, თავისი ხალასი ნიჭით. იგი ჯერ ნორჩია, მაგრამ შეუძლია მრავალმხრივი თამაში გვიჩვენოს. ავიღოთ, თუნდაც უკანასკნელი შეჯიბრება თბილისში — საბჭოთა კავშირის 36-ე ჩემპიონატი. ნანა ალექსანდრიას ნორჩი მოჭადრაკე ისეთი გზნებითა და თავგამოდებით უტევდა, რომ გამოცდილ მეტოქეს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცა. მსოფლიოს ჩემპიონთან — ნონა გაფრინდაშვილთან ნანა უკვე სხვანაირად თამაშობდა, პოზიციურ მანევრებში მეტოქეს არ დაუთმო და საბოლოოდ ფრიად საპატიო ყაიმს მიაღწია. ირინე ლევიტინა შავებით ნანას პოზიციურ მარწუხებში მოექცა და შეეცადა „წყალი აემღვრია". ესე არ უნდაო, და იოსელიანმა მალე მეტოქეს ისეთი მახე დაუგო, რომ შიგ ლევიტინას ლაზიერი „გამოამწყვდია".

ჩიბურდანიძე, გურიელი, იოსელიანი! რამდენ კარგ რამეს გვპირდებიან ეს გოგონები!

გ. გამრეკელი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მელოდია" გვთავაზობს

მუსიკა ბატონობს აქ. იგი კიბეებთან, ვესტიბიულშივე შემოგეგებებათ და უთუოდ კარგ გუნებაზე დაგაყენებთ, ისმენთ საბჭოთა და საზღვარგარეთის ესტრადის ვარსკვლავების: ნანი ბრეგვაძის, ელა ფიცჯერალდის, ლიუდმილა ზიკინას, იოსებ კობზონის, ევგენი მარტინოვის, ლუი არმსტრონგის, დემისი რუსოსის მომაჯადოებელ ხმებს.

გრამ-ფირფიტების საკავშირო ფირმა „მელოდიას" თბილისის გრამჩამწერი სტუდია საბურთალოზე თანამედროვე არქიტექტურული სტილით ნაგებ ორსართულიან შენობაშია. იგი შეიქმნა კუსტარული ვინილიტის ფირფიტის საამქროს ბაზაზე და დამონტაჟდა უახლესი ტექნიკის აპარატურით. აქ იწერება თითქმის ყველა ჟანრის მუსიკა — სიმფონიური, საესტრადო, ხალხური... ძირითადად ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის ხალხთა ნაწარმოებები.

სტუდია არსებობის თექვსმეტ წელს ითვლის. ამ ხნის მანძილზე ჩაიწერა ოპერები: „აბესალომ და ეთერი", „დაისი", „ქეთო და კოტე", „დაუპატიჟებელი სტუმრები", „მინდია", „ლეილი და მეჯნუნი"; შალვა მშველიძის, ყარა ყარაევის, ალექსი მაჭავარიანისა და ედუარდ მირზოიანის სიმფონიები; სულხან ცინცაძის, ოთარ თაქთაქიშვილის, ფიქრეთ ამიროვის, ალექსანდრე არუთინიანისა და სხვა კომპოზიტორთა ნაწარმოებები; ოპერეტები, მუსიკალური კომედიების ფრაგმენტები.

სტუდიის ხშირი სტუმრები არიან: „ორერა", „ანსამბლი 75", „რერო", „დიელო", „ივერია", „რუსთავი", „კოლხიდა", „აისი", „ცისფერი ტრიო", „მზიური". ამ ანსამბლების შესრულებით ჩაწერილია ქართველ კომპოზიტორთა თითქმის ყველა საუკეთესო საესტრადო ნაწარმოები.

სტუდიის ინიციატივით ქ. თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიერო კვლევითმა ინსტიტუტმა გადაწყვიტა სხვადასხვა კლასებში პროგრამით გათვალისწინებული მასალის უკეთ ასათვისებლად გამოეშვა სასწავლო ფირფიტები. ეს იდეა „მელოდიამ" წარმატებით განახორციელა. დღეისათვის გამოსულია ფირფიტები პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვი-







დე კლასებისათვის ქართულ, გერმანულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებში ქართული სკოლებისათვის. მათ მოსწავლე სახელმძღვანელოსთან ერთად იძენს და უადვილდება გათვალისწინებული პროგრამის უკეთ ათვისება.

კარგი საჩუქარი მოუმზადა სტუდიამ პატარებს. მათთვის გამოუშვა ხანგრძლივი დაკვრის ფირფიტები. მათზე ჩაწერილია ლექსები, ანდაზები, ნაწყვეტები მოთხრობებიდან, რომლებსაც კითხულობენ მხატვრული კითხვის ოსტატები, მსახიობები. განსაკუთრებით სიამოვნებით ისმენენ პატარები „მსოფლიოს ხალხთა ზღაპრებს“ — გერმანულს, ჩეხურს, პოლონურს, სლოვაკურს, ინდონეზიურს და იაპონურს, რომლებიც თარგმნილია ქართულ ენაზე. ბავშვები ადვილად ეუფლებიან მოსმენისა და თხრობის კულტურას. სასურველია ფირფიტების უფრო ფართოდ გამოყენება საბავშვო ბაგა-ბაღებში, პიონერთა ბანაკებში, სკოლებში.

სტუდიაში სტანდარტული ზომის მაგნიტოფონებისათვის მზადდება ადვილადმოსახმარი მცირე გაბარიტიანი კასეტები, რომელთა დაკვრის ხანგრძლივობა ერთი საათია. „მელოდიის“ შენობაში, რომელსაც მუსიკის სამყაროსაც უწოდებენ, ხმის ჩამწერი ორი შესანიშნავი დარბაზი-სტუდიაა. ერთის ფართობი 800 კვ მეტრია, მეორისა — 300. დიდი სტუდია უნიკალური იქნება, მისი დანადგარები დიდი ფორმის მრავალარხოვანი ნაწარმოებების ჩაწერის საშუალებას მოგვცემს. აქ გამოიყენებენ სამამულო და უცხოურ უახლეს აპარატურას. სტუდია ექსპლოატაციაში ამ წლის ბოლოს შევა.

„მელოდიის“ დირექტორი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი კ. კინწურაშვილი, მისი მოადგილე, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი გ. ხარატიანი, მთავარი რედაქტორი რ. ჩერნოვი, საამქროს უფროსი გ. დვალიშვილი და მთელი კოლექტივი დარაზმული არიან წარმოების გეგმების განსახორციელებლად.

წლევანდელი მზაპროდუქციის რეალიზაციის ცხრა თვის გეგმა „მელოდიამ“ 112 პროცენტით შეასრულა. გეგმით გათვალისწინებული 485 ათასი ცალი მცირეგაბარიტიანი კასეტის ნაცვლად გამოშვებულია 510 ათასი, 2 375 ათასი ცალი ფირფიტის ნაცვლად — 2 997 ათასი ცალი.

საბურთალოზე გრამჩამწერ სტუდიაში ყოველდღიურად იქმნება მუსიკის მატიანე.

**ნანული ბუკია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხელმოუწერელი ბარათები

ამ ბარათებს მხოლოდ ერთი მისამართი აწერია: „თბილისი, ლენინის 14. ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციას“. ეს არის და ეს. ვინ გამოგზავნა? საიდან? უცნობია. ზოგიერთი მათგანი ინიციალებით მთავრდება. შეიძლება ეს ინიციალებიც მოგონილია. თუმცა, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს: ადამიანს სურს თავისი ვინაობა უცნობი დარჩეს? კეთილი და პატიოსანი! მაგრამ, რედაქციაში, სადაც გულმხურვალედ ეპყრობიან ყოველ გამოხმაურებას, ყოველ ბარათს, — გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება რას იწერებიან ეს ადამიანები, რა აწუხებთ, რა სატკივარი გახჩენიათ ისეთი, რომ ხელისმოწერისა ერიდებათ! ამ შემთხვევაში ბარემ, პირდაპირ მოგახსენებთ: რა და... სიყვარული. „სიყვარულსა მალვა უნდა, ვითა ცხენსა ნაპარავსაო“. ჰოდა, თავი და თავი არის, რომ სწორედ მაგ „ნაპარავი“ გრძნობის გამომშლაა ამ ბოლოდროინდელ ზოგიერთ ბარათში. საერთოდ, წერილები ტყუპისცალებივით ჰგავს ერთმანეთს. ჰგავს ცრემლის ტბით, ბედის სამდურავით, „დამსხვრეული ოცნებებით“, „გულდაკოდილობით“...

სიყვარულის გაკიცხვის უფლება ამ ქვეყნად არა სულიერს არა აქვს. სიყვარულია ჩვენი სიცოცხლის ეშხი. მშვენება, ამამაღლებელი, თუ გნებავთ განმასპეტაკებელიც. ასე რომ, ამ გრძნობას რაოდენი ეპითეტიც უნდა მივუსადაგოთ, მაინც ვერ მოვრკალავთ მის სიდიადეს, მაინც ვერ გამოვთქვამთ მის არსს... ხელოვნების უდიდეს ქმნილებებში სიყვარულს მარადი წილი უძევს, სიყვარული ბიძგია ყოველგვარი კეთილშობილური გამოვლინებისა, შრომისა, ქცევისა.. სიყვარული ჰქმნიდა და ჰქმნის ჩვენს ოჯახს, კერას, სიყვარული მტრობის მომრევია „რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებიაო“, ვინ იცის საუკუნეთა რომელი სიღრმიდან მოდის ეს სიტყვები, მთვარიან ღამეებში რომ დაჰღიღინებდა ნაღვლიანი მეურმე... ადამიანებო, წერეთ სიყვარულზე, დახატეთ სიყვარული, აამღერეთ სიყვარული, ბოლოსდაბოლოს იტირეთ კიდეც სიყვარულისთვის. სიყვარულის ცრემლს არავინ გაჰკილავს, არავინ დასცინებს. მაგრამ... მაგრამ როდესაც სიყვარულის ნიღაბს სულ სხვა გრძნობა იფარებს, ის გრძნობა, სწორუპოვარი რუსთაველი, რომ ამბობდა, „მძულს უგულო სიყვარულიო“, აქ კი უნდა გავარჩიოთ, მკაცრი გონებით გავარჩიოთ: რომელ გრძნობასთან გვაქვს საქმე? ამაღლების მაგივრად ხომ არ დაგვაკნინებს, ხომ არ დაგვამცირებს ეს გრძნობა? აი, ერთი ბარათის შინაარსიც;

ქალ-ვაჟს უყვარდათ ერთმანეთი. მერე ჩაერივნენ მშობლები. ვაჟი ჯარში წავიდა. ატყდა ჭორი და ქალიშვილი გათხოვდა. ისე გათხოვდა, რომ არც შეუმოწმებია მართლა დავავიწყდი თუ არა ჩემს რჩეულსო, მართლა აიყარა თუ არა ჩემზე გულიო? „ფარულად გამოვიტირე ჩემი პირველი სიყვარული და ბოლოს გავთხოვდი. სანიმუშო ოჯახი შევქმენი, ხუთი შვილის დედა ვარ, სამსახურითაც კმაყოფილი ვარ“... ბოლოს ირკვევა, რომ ვაჟი არც დღეს დაოჯახებულა, ხალხს უგზავნის და დაჟინებით სთხოვს მეგობრობას ხუთი შვილის დედას, სანიმუშო ოჯახის დედას. ბოლოსდაბოლოს, დაბნეული ქალი მკითხავივით მოგვმართავს: „ძვირფასო რედაქციავ!... მაქვს თუ არა მორალური უფლება მასთან ვიმეგობრო. ამით ხომ ჩემს მეუღლეს მივაყენებ შეურაცხყოფას? არ ვიცი, როგორ მოვიქცე. დავიბენი. თქვენგან მოვითხოვ შველას. მირჩიეთ რამე და სწორ გზაზე დამაყენეთ“.

აკი მოგახსენეთ, რედაქციაში არც ბანქოთი მკითხაობენ, არც ყავის ნალექს ჩხრეკენ. ამ უსახელო ბარათს ყველა ჭკუაზე მყოფელი ერთადერთ პასუხს გასცემს: ქალო, ადამიანო, ოჯახის დედაბოძო, დედავ, მეუღლევ, — იყავი შენი ოჯახის ერთგული, შენი შვილების გამზრდელი, მეუღლის მეგობარი და სხვ. ის კი არადა, ასეთი ბარათის გამოგზავნა, და ისიც ქალთა ჟურნალში უხერხულია, მეტი რომ არა ვთქვათ რა! ქალი ყოყმანობს, დაბნეულია, და... თითქოს რაღაცას ეპირება, ჩვენგან კი დასტურის ქაღალდს მოელის! როგორ მოგწონთ?

ახლა მეორე ბარათს გადავხედოთ:

„იქნებ ჩემი ნაბიჯი სწორი არ არის? მაგრამ რატომ? მე ხომ ამ კაცმა მაგრძნობინა მდიდარი სული და წმინდა, უანგარო სიყვარული? მაშ რატომ უნდა ვკრა ხელი? გთხოვთ მიპასუხოთ — ის გოგონაა მართალი თუ ჩემი გულის კარნახით გადადგმული ნაბიჯია სწორი?“

მკითხველი რომ საქმეში გავარკვიოთ, ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ ბარათის შინაარსს. კაცს ოჯახი დაენგრა. ახლა შეხვდა ქალიშვილს, რომელმაც შეიბრალა, შემდეგ ერთმანეთი შეუყვარდათ. მაგრამ ქალიშვილს მეგობარმა გოგონამ ურჩია, მეუღლედ ბედნაცვალი კაცი რად გინდაო? ჰოდა, ახლა ჩვენ უნდა ვურჩიოთ თურმე, გაჰყვეს თუ არ ბედნაცვალ კაცს. თუ წერილის ავტორი სავსებით გულწრფელია, თუ იგი არაფერს გვიმალავს, თუ მას ხელი არ ურევია ოჯახის დანგრევაში, თუ კაცი სავსებით მართალია განშორებულ მეუღლესთან, ოჯახთან, თუ, თუ, თუ.. ხედავთ რამდენი „თუა“?.. ძვირფასო ქალიშვილო, ხედავთ რამდენი „თუ“ უნდა გაითვალისწინოთ, რომ ადამიანებთან, ოჯახებთან, ბავშვებთან, საზოგადოებასთან პირნათელი და მართალი იყოთ, თქვენც და თქვენი ხელის მთხოვნელიც!..

არის კიდევ ერთი ბარათიც, რომელმაც სერიოზულად დაგვაფიქრა, და შეგვაშფოთა კიდეც! ქალ-ვაჟს ერთმანეთი უყვართ, ძალიან უყვართ, აღმოჩნდა, რომ გოგონა უკანონო შვილია, და ვაჟის ოჯახი სასტიკი წინააღმდეგია მათი შეუღლებისა. ვაჟი სასოწარკვეთით გვწერს: „ძ[illegible] კარგე, სამსახურს თავი მივანებე, მეგობრებს თითქმის ჩამოვცილდი. ახლა ვგრძნობ, რა ძლიერი სიყვარულით მიყვარს იგი და როგორ მიჭირს უმისოდ ყოფნა. რა ვიღონო? განა მეყოფა ვაჟკაცობა ადამიანების დაცინვა ავიტანო, ნაბიჭვარი ცოლად დავისვა?.. განა უფლება მაქვს ჩემს სიყვარულს დედა შევწირო?... თქვენ მოგმართავთ, კეთილო ადამიანებო, მირჩიეთ რამე, ოღონდ ფრთხილად, ძალიან ფრთხილად. გახსოვდეთ, თქვენს წინ ორი ახალგაზრდაა, რომელთა ბედი თქვენზეა დამოკიდებული!“.

ბარათს რომ 1976 წელი არ ეწეროს, ჩვენ ვიფიქრებდით, რომ იგი გასული საუკუნეებიდან არის გამოგზავნილი, იმდენად დახავსებულია სიტყვა „ნაბიჭვარი“. დედმამის შეცდომა რატომ უნდა ზიდოს საშინელ ტვირთად გოგონამ, რომელიც სიცოცხლისათვის, სიყვარულისათვის, მეგობრობისათვის გაჩენილა ამ ქვეყანაზე და ისიც დღეს, როდესაც ადამიანთა ბედნიერებისათვის ამდენი რამ კეთდება ჩვენში!

. . . . . . . .

ასეთი წერილები ტრადიციულად მთავრდება ხოლმე ფრაზით: „თქვენ რას იტყვით მკითხველო?“ ვერც ამ შემთხვევაში ავუვლით გვერდს ამ ფრაზას. მკითხველი ალბათ მოგვწერს, რომ გასაკიცხავი უნდა გაიკიცხოს, გაჭირვებულს მშველელი უნდა გამოუჩნდეს, მოსაწონი უნდა მოვიწონოთ. ხომ არ გგონიათ, რომ მხოლოდ დღეს, მხოლოდ ამ წლებში წამოიჭრა ასეთი წმინდა ყოფითი პრობლემები ადამიანთა წინაშე? ვით სიყვარულია მარადი, ასევე პრობლემებიც მარადია. მაშასადამე, წინათაც კითხულობდნენ, ეძიებდნენ და პასუხსაც ჰპოვებდნენ. თუ პირველ ხელმოუწერელ ბარათს დავუბრუნდებით, მის პასუხს თუნდაც, დიდებული პუშკინის „ევგენი ონეგინში“ მოვნახავთ. გავიხსენოთ ტატიანას და ევგენი ონეგინის საბოლოო შეხვედრა და განშორება. ყური მივუგდოთ მარადქალურ, მომხიბვლელსა და ჭკვიან ტატიანა ლარინას.

„გავთხოვდი. ახლა თქვენი ვალია
დამთმოთ, გამშორდეთ, გთხოვთ,
ღვთისნიერო,
ვიცი, თქვენს გულში კვლავ სხივოსნდება
სიამაყე და პატიოსნება.
ისევ მიყვარხართ, რად ვიცბიერო?
მაგრამ სხვისი ვარ აწ და მარადის
და ვუერთგულებ მას სამარემდის“.

(თარგმანი ო. ჭელიძისა)

დიდებული რამ სიტყვა გახლავთ „ერთგულება“. მით უმეტეს დღეს; დღეს, როდესაც, როგორც არასდროს, ოჯახისადმი ერთგულება ნიშნავს მშობელი ხალხის, მშობელი ერის, მშობელი სახელმწიფოს ერთგულებას.

ნაზი კილასონია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მოდა



მოდების ავტორი ია სხირტლაძე

დღევანდელი მოდა რამდენიმე სილუეტს გვთავაზობს: ტანზე მოყვანილი და ნახევრად მოყვანილი, გაფართოებული და „ტრაპეცია“. როგორც ყოველთვის, სიგრძის საკითხი ინდივიდუალურად წყდება — რა თქმა უნდა, ახალი სილუეტი მუხლებს დაფარულს ითვალისწინებს.

დღევანდელი მოდა ფერთა საკმაოდ უხვი პალიტრითაც გამოირჩევა — თქვენი „გარდერობი“ შეგიძლიათ შეარჩიოთ როგორც მონათესავე, ისე კონტრასტულ ფერთა შეხამებით.

გვიან შემოდგომასა და ადრეულ გაზაფხულზე გარდამავალი პერიოდის ამინდი თუ უამინდობა ერთგვარად ართულებს ტანსაცმლის შერჩევას. თანამედროვე მიმართულება იძლევა ამ პერიოდისათვის მოხერხებულ, მეტად პრაქტიკულ „კაბა-პალტოს“.

ახლანდელმა სილუეტმა თითქოს მოითხოვა „შალი“, „შარფი“; მსუბუქი და გრძელი „შალი“ შეიძლება შეირჩეს როგორც ტანსაცმლის, ასევე მასთან შეხამებული რომელიმე სადა ფერის ქსოვილისაგან.

ხელჩანთები, „შლიაპები“, „შალი“. „შარფი“, მძივები — ყელსაბამები და სხვა სამკაულები, ავსებს და ამდიდრებს ტანსაცმლის ანსამბლს, მათი გონივრული შეხამება თანამედროვე, უხვ, მრავალსახოვან ჩაცმულობასთან კი ხაზს უსვამს თქვენს ინდივიდუალობასა და გემოვნებას.

**ია სხირტლაძე**
მხატვარი-მოდელიორი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ზოგი რამ თევზის შესახებ

## თევზის მოხარშვა

თევზის მოხარშვა შეიძლება როგორც ნაჭრებად, ისე მთლიანად (დამოკიდებულია თევზის სიდიდეზე). წყალი უნდა მოვზომოთ ისე, რომ ყოველ 150-200 გრამ თევზზე 150-200 გრამი წყალი მოდიოდეს, თუ წყალი მეტი მოვიდა, ამან შეიძლება თევზი გააუგემუროს. თევზს რომ სასიამოვნო არომატი ჰქონდეს, მის მოსახარშ წყალში ჩავდოთ სტაფილო, ოხრახუში, ნიახური, შავი პილპილი (დაუფქვავი), დაფნის ფოთოლი, ჩავყაროთ მარილი, ყოველივე ეს ვადუღოთ 10-15 წუთი და მხოლოდ შემდეგ ჩავალაგოთ შიგ მოსახარში თევზი: როცა წყალი, რომელშიც თევზია უკვე ჩადებული, მაგრად წამოდუღდება, ცეცხლს უნდა მოვუკლოთ, თევზი ნელი დუღილით უნდა მოიხარშოს, მოხარშვას საშუალოდ 10-15 წუთი დასჭირდება.



## თევზის შეწვა

თევზი დავჭრათ, გნებავთ ბრტყელ, გნებავთ, მრგვალ ნაჭრებად (სასურველია, შეძლებისდაგვარად, ძვლების გამოცლა), ამოვავლოთ ან პურის ფქვილში, ან დაფხვნილ ორცხობილასა და კვერცხში, ან თხელ ცომში (ბლინისთვის რომ ვაკეთებთ ისეთ ცომში), ჩავალაგოთ 170-180 გრადუსამდე გაცხელებულ ცხიმში და შევწვათ. თევზი გარედან ძალიან უნდა დაიბრაწოს. შესაწვავად ხმარობენ, ძირითადად, მცენარეულ ცხიმებს — ზეთს.

## თევზი ქინძმარით

დავნაყოთ მარილთან ერთად ბლომად ნედლი ქინძი (ზოგს კამის მომატებაც უყვარს). დანაყილი მწვანილი გავხსნათ ძმარში, (ძმარი გემოვნების მიხედვით), დავუმატოთ წყალი და ჩავალაგოთ შიგ მოხარშული ან შემწვარი თევზის ნაჭრები.





## თევზი ბაჟეთი

ჩვეულებრივი ბაჟისაგან თევზის ბაჟე განსხვავდება იმით რომ, მას გაცილებით მეტ ქინძს ვუნაყავთ, აი, ნიორს კი უფრო ნაკლებს, ძმარს საგრძნობლად მეტს ვასხამთ. ესე იგი — დავნაყოთ ნიგოზი, ბლომად ქინძი, ნიორი, ავურიოთ ყოველივე ძმარში, დავასხათ წყალი და ჩავალაგოთ შიგ მოხარშული ან შემწვარი თევზის ნაჭრები.

## ფერად-ფერადი

შარშანდელი წლის პირველი იანვრიდან შვეციაში უჩვეულო კანონი მიიღეს — ახალშობილი ბავშვის მოვლისათვის განკუთვნილ ექვსი თვის ფასიან შვებულებას სურვილისამებრ ან დედას აძლევენ, ან მამას, ამავე კანონით შესაძლებელია აგრეთვე შვებულების კომბინირება: მაგალითად, პირველი სამი თვის განმავლობაში ბავშვისთვის მამა ზრუნავს, შემდეგ სამ თვეს კი — დედა. შარშან ახალი კანონით მხოლოდ 100-მა ახალგაზრდა მამამ ისარგებლა, რაც არც ისე დიდი რიცხვია სახელმწიფოსათვის, სადაც 8 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. ახალგაზრდა სოციოლოგი გერან კრონა, ერთ-ერთი იმათგანია, ვინც „მამების შვებულებით" ისარგებლა, ამ მდგომარეობას კაცების ეგოიზმითა და ცრუ თავმოყვარეობით ხსნის და არა პირმშოსადმი სიყვარულით, რომლის დატოვებაც მას არ შეუძლია. კრონა საკუთარი გამოცდილებით სრულიად საფუძვლიანად დაასკვნის, რომ ბავშვი ისევე ეჩვევა მამას, როგორც დედას, და რომ ბავშვის დედისადმი სპეციფიკური დამოკიდებულება თანდაყოლილი კი არა, — აღზრდის შედეგად ვითარდება.

„მამების შვებულებაში" მყოფმა კაცებმა მხოლოდ ბავშვისთვის როდი უნდა იზრუნონ — მათ ყველა საოჯახო საქმე ევალებათ: საჭმლის მომზადება, ბინის დალაგება, პროდუქტების შეძენა. ზოგიერთ კაცს, რომელმაც „მამების შვებულება" აიღო, ვერც კი წარმოედგინა, რომ ბავშვის მოვლა ასე ძნელია და ამდენი დრო სჭირდება. მაგალითად, ახალგაზრდა მამამ ლარს სუნდკვისტმა გადაწყვიტა ესარგებლა „მამების შვებულებით", რათა შვებულების დროს აქტიურად შეღგომოდა თავის ჰობს — საჰაერო ბურთით ფრენას, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. — „ბავშვისთვის ზრუნვა და საოჯახო საქმე ადამიანს დღე-ღამეში 18 საათს ართმევს" — განაცხადა მან. სამაგიეროდ, ლარს სუნდკვისტმა ჯეროვნად დააფასა ქალის შრომა, რომელსაც სხვა დროს თავად იგი და მრავალი მისთანანი ღირსეულად ვერ აფასებენ.

გარეკანის პირველ გვერდზე — კოკი მახარაძის პანო — ლენინი. — ფერადი სლაიდები გრ. სეირანიანისა.


რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. ბურბენიძე, ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი, ე. ჯაფარიძე (პ. მგ. მდივანი)

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, № რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-60. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 7/X-76 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/XI-76 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3 ტირაჟი 121 500. შეკვ. 3355 უე 00925 ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქსენია სიხარულიძე

ქსენია სიხარულიძე.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის გამგე.

პროფესორი.

ავტორი 200-ზე მეტი შრომისა.

აღმზრდელი სტუდენტთა მრავალი თაობისა.

ღვაწლმოსილი მეცნიერი.

მთავრობის მრავალი ჯილდოს მფლობელი.

საზოგადო მოღვაწე.

და თუმცა დიდად დატვირთული იყო, ქსენია სიხარულიძე ყოველთვის პოულობდა დროს შემოევლო ჩვენს რედაქციაში, მოეცა კეთილი რჩევა, გამოეთქვა აზრი. წლების მანძილზე იგი ჟურნალ „საქართველოს ქალის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი გახლდათ და კოლეგიის სხდომებზე მოწმენი ვხდებოდით მისი ერუდიციისა, ფაქიზი გემოვნებისა, პრინციპულობისა. მის მშვენიერ გარეგნობას ერთიორად ამშვენებდა საუკეთესო ადამიანური თვისებები: ყოველთვის ვიღაცისთვის ზრუნავდა, ვიღაცისთვის წუხდა. და სადაც უნდა ყოფილიყო, შორეულ მოგზაურობასა თუ მეცნიერთა საერთაშორისო თავყრილობებზე, ქსენია სიხარულიძეს გონიერებასთან ერთად თან სდევდა მშვენება და კდემა ქართველი ქალისა. ასეთი გვიყვარდა იგი, ასეთი ეხსომებათ იმ თაობებსაც, რომელთა აღზრდას შეალია საკუთარი პირადი ცხოვრებაც კი. იგი იდგა კათედრაზე და ახალგაზრდა აუდიტორიას თითქოს სინათლე ეფინებოდა — სინათლე განსწავლულობისა, სინათლე სინარნარისა. რა მომხიბვლელობას იძენდა მისგან ზეპირად წარმოთქმული გმირული ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები! რა დედობრივი სითბოთი ივსებოდა მისგან ნათქვამი აკვნის სიმღერები! რა გულისმომკვლელი იყო მის მიერ გახმიანებული ხალხური სატრფიალო ლექსები!

და ეს ყველაფერი როგორ უხდებოდა მის ნატიფ გარეგნობას, ჩქვიან თვალებს!..

მისი დაკარგვა მძიმე დანაკლისია ქართული მეცნიერებისათვის, ახალგაზრდობისათვის, მისი გაზრდილებისათვის, საზოგადოებისათვის. და ქალთა ჟურნალისთვისაც, სადაც ყოველთვის ეწეოდა მის აზრს ანგარიში, სადაც ყოველთვის გვიხაროდა მისი წვევა, მასთან მეგობრული საუბარი და სადაც ასე ძნელია მასზე გამოსათხოვარი სიტყვის დაბეჭდვა.

ИНДЕКС 76178

ეროვნული ბიბლიოთეკა

